

SeptemberSeptemberივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი**

№ 8, სექტემბერი

**Journal of Young Researchers**

№ 8, September

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

**2019**

**ISSN: 2346-7754**

**სამეცნიერო რედაქტორი:**

კორნელი კაკაჩია – პროფესორი

ვალერიან მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი

**აღმასრულებელი რედაქტორი:**

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი

**სარედაქციო კოლეგიის წევრები:**

იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი

ხათუნა მაისაშვილი – ასოცირებული პროფესორი

თორნიკე თურმანიძე – ასოცირებული პროფესორი

ზურაბ აბაშიძე – ასოცირებული პროფესორი

**ტექნიკური ჯგუფი:**

ნინო აბესაძე – ტექნიკური რედაქტორი

ლევან კახიშვილი – სამეცნიერო რედაქტორის ასისტენტი

## ნატა გარაყანიძე

### გაზი და პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა: სამხრეთ კავკასიის რეგიონი

#### რეზიუმე

ნაშრომი განსაზღვრავს სამხრეთ კავკასიის პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ არჩევანსა და ენერგორესურსებს, კერძოდ, გაზის ფაქტორს (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი), შორის დამოკიდებულებას. მართალია, სამხრეთ კავკასიის თითოეული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა მჭიდრო კავშირშია „დიდ ძალებთან“ (რუსეთთან და დასავლეთთან), თუმცა, არანაკლებ მნიშვნელოვანია შიდა ეკონომიკური კონტექსტი, კერძოდ, გაზის ფაქტორი (მარაგები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი), რომელიც ასევე დაკავშირებულია ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ კურსთან.

გაზს მნიშვნელოვანი როლი აქვს სომხეთის პრორუსულ პოლიტიკაში - სომხეთი, გარდა სხვა მიზეზებისა, გაზის ფაქტორის გამოც გახდა რუსეთის ერთგული მოკავშირე და რუსეთის ლიდერობით შექმნილი საერთაშორისო ინიციატივების აქტიური წევრი. სომხეთისგან განსხვავებით აზერბაიჯანმა და საქართველომ მოახერხეს რუსეთზე დამოკიდებულებისგან განთავისუფლება, რაშიც, გაზის ფაქტორი ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს; აზერბაიჯანი გაზის მდიდარ რესურსებს ფლობს და ექსპორტის დიდი პოტენციალიც აქვს, რის წყალობითაც ქვეყანას აქვს საშუალება, განთავისუფლდეს რუსეთის გავლენისგან და, ამდენად, იყოს ნაკლებად აქტიური რუსეთის ლიდერობით შექმნილ საერთაშორისო ორგანიზაციებში. საქართველოს შემთხვევაში რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისგან განთავისუფლება და აზერბაიჯანული გაზის ტრანზიტის შესაძლებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საფუძველია ქვეყნის ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისთვის, რაც საქართველოს საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანაა.

*საკვანძო სიტყვები: სამხრეთ კავკასია, ენერგორესურსები, გაზი, საგარეო პოლიტიკა.*

#### Abstract

The purpose of this article is to study the interconnection between energy resources, gas in particular, and foreign policy of South Caucasus small states. It is suggested that gas (reserves, export and/or transit)

as an internal economic factor is closely related to the foreign policy formation of South Caucasus states. Rich gas reserves together with respective export possibilities have enabled Azerbaijan not to depend on Russia and, thus, to stay away from the military alliances and economic/political international organizations created by Moscow. In contrast to this, Armenia is closely aligned with Russia; the country's pro-Russian policy is also based on the gas-dependence. In case of Georgia, breaking free from Russian gas dependence together with the possibilities of Azerbaijani gas transit brings this country closer to the Euro-Atlantic integration - a main foreign policy goal of Georgia.

**Keywords:** *South Caucasus, Energy Resources, Gas, Foreign Policy.*

## შესავალი

არსებობს არაერთი კვლევა, რომელიც პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ანალიზისას საერთაშორისო არენის გარდა (დამოკიდებულება „დიდ ძალებზე“ (great powers)), შიდა ფაქტორების მნიშვნელობასაც უსვამს ხაზს, თუმცა, მათში საუბარია პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ფორმირების მხოლოდ შიდა პოლიტიკურ კონტექსტზე (მაგ., Doeser, 2011; Hey, 2002; Gvalia 2013), ხოლო ეკონომიკურ ფაქტორებს საგარეო პოლიტიკასთან კავშირში საკმარისი ყურადღება არ ეთმობა. მართალია, ნაშრომთა მცირე ნაწილი ამახვილებს ყურადღებას ენერგორესურსებისა და საგარეო პოლიტიკის კავშირზე, თუმცა, ეს მხოლოდ „დიდი ძალების“ შემთხვევების და მათი პოლიტიკის განხილვის გზით ხდება (მაგ., Fiona, 2004; Rutland, 2008; Smith, 2006; Goldthau, 2008). ამდენად, არსებობს გარკვეული დანაკლისი პატარა სახელმწიფოებისა და ენერგორესურსების კავშირის შესახებ შექმნილი კვლევებისა.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია გარკვეული სასარგებლო წიაღისეულის - გაზის ფაქტორის (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) როლი პატარა ქვეყნების საგარეო პოლიტიკის კონტექსტში. ბუნებრივი აირის მნიშვნელობა განსაკუთრებით აღსანიშნავია, ვინაიდან გლობალურად გაზის მარაგის ფლობა და გაყიდვა ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ბუნებრივ მონოპოლიას წარმოადგენს (მსოფლიოში გაზს სულ რამდენიმე ათეული ქვეყანა-მომპოვებელი ყიდის. გაზის გლობალური ბაზარი ჯერ კიდევ არ არსებობს). მოპოვებული ბუნებრივი აირის თითქმის მთლიანი რაოდენობა სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიებზე აშენებული მილსადენებით გადაიტუმბება. ამდენად, გასაკვირი არაა, რომ

ხშირად გაზი ხდება ქვეყნების შორის პოლიტიკური ურთიერთობების გარკვევის საგანი, მით უფრო რომ საერთაშორისო მილსადენების აშენებას, პირველ რიგში, ქვეყნების პოლიტიკური თანხმობა სჭირდება.

ნაშრომში სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შემთხვევებია განხილული, ვინაიდან ამ რეგიონის პატარა, მეზობელი სახელმწიფოების მაგალითზე ნათლად ჩანს გაზის რეზერვების, ექსპორტისა და ტრანზიტის მნიშვნელობა საგარეო პოლიტიკის კონტექსტში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაშრომი მიზნად არ ისახავს, დაამტკიცოს, რომ მხოლოდ გაზის მდიდარი რესურსები განაპირობებს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ამა თუ იმ კურსს. ნაშრომის მიზანია, ხაზი გაუსვას გაზის როლს საგარეო პოლიტიკის კონტექსტში და აღნიშნოს, რომ იგი ერთ-ერთი ის ფაქტორია, რაც მონაწილეობს სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში.

ყოველივე ზემოთ თქმულის გათვალისწინებით, ნაშრომის მთავარი საკვლევი კითხვა ასე ყალიბდება: *რა კავშირია გაზის ფაქტორსა (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) და სამხრეთ კავკასიის პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკას შორის?*

ნაშრომში წარმოდგენილი ჰიპოთეზა შემდეგში მდგომარეობს: გაზის ფაქტორი (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) საშუალებას აძლევს სამხრეთ კავკასიის პატარა სახელმწიფოებს - აზერბაიჯანსა და საქართველოს - განთავისუფლდნენ რუსეთის გავლენისაგან და, ამდენად, არ გაწევრიანდნენ „ჩრდილოელი მეზობლის“ მიერ შექმნილ სამხედრო ალიანსებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ ორგანიზაციებში; სომხეთს კი ეს შესაძლებლობა არ აქვს; მისი საგარეო პოლიტიკა პრორუსულია და, ამდენად, რუსეთის მიერ შექმნილ საერთაშორისო პოლიტიკურ/ეკონომიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციისკენაა მიმართული; გაზის ფაქტორი ამ პრორუსული ინტეგრაციული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია.

### **ლიტერატურისმიმოხილვადათეორიულიჩარჩო**

საგარეო პოლიტიკასა და ენერგორესურსებს შორის კავშირს ძირითადად რეალისტურ თეორიულ ჩარჩოში განიხილავენ. ჯ. ლეგრომ და ა. მორავცსიკმა (1999) სხვადასხვა ავტორის კვლევებზე დაყრდნობით საკუთარ ნაშრომში რეალისტური თეორიის სამი ძირითადი ასპექტი განსაზღვრეს: 1) ანარქიულ საერთაშორისო არენაზე მთავარი აქტორები სახელმწიფოები არიან;

2) სახელმწიფოებს მყარად ფიქსირებული ინტერესები ამოძრავებთ, რომლებიც, თავის მხრივ, სხვა ქვეყნების ინტერესებს უპირისპირდება; 3) ამ დაპირისპირებაში ქვეყნის მატერიალურ რესურსებს ენიჭება ძირითადი უპირატესობა, ვინაიდან ისინი სახელმწიფო ძალის მაქსიმიზაციას განაპირობებენ (Legro and Moravcsik, 1999:12-18). ქვემოთ მოცემულია ამ პრინციპების განხილვა ენერგორესურსების კონტექსტში.

#### 1) სახელმწიფო- მთავარი აქტორი

ენერგორესურსებსა და სახელმწიფოს როლის შესახებ არსებულ კვლევებს შორის აღსანიშნავია ა. მარკინას ნაშრომი (2008), რომელიც აღნიშნავს, რომ მსოფლიოში ენერგოურთიერთობებს ყოველთვის სახელმწიფოები წარმართავენ. ცნობილია, რომ მსოფლიო გაზის რეზერვების დაახლოებით 70-80%-ს სახელმწიფოს კუთვნილი კომპანიები ფლობენ და ისინი ქვეყნის მთავრობის დავალებებით მოქმედებენ. დღემდე არც ერთი სახელმწიფო არ არის მზად, დათმოს ენერგორესურსებზე კონტროლი სხვა ქვეყნის, საერთაშორისო კომპანიის, თუ სუპრანაციონალური ორგანოს სასარგებლოდ. მაგალითად, ყველაზე წარმატებული თანამშრომლობის - ევროკავშირის- წევრმა ქვეყნებმაც ვერ შეძლეს ენერგორესურსებთან დაკავშირებული საკითხების სუპრანაციონალური ორგანოებისთვის მინდობა. გარდა ამისა, წევრი ქვეყნების ინტერესების განსხვავებულობა ევროკავშირში საერთო ენერგეტიკული პოლიტიკის არ არსებობის მიზეზია (Marquina, 2008).

#### 2) სახელმწიფოების მყარად ფიქსირებული ინტერესები და ურთიერთდაპირისპირება

სახელმწიფოებს მსგავსი ფიქსირებული ინტერესები აქვთ, რომელთაგან უპირველესი გადარჩენაა, ბოლო კი - მსოფლიოზე დომინირება. ვინაიდან ყველა ქვეყანას ეს მსგავსი მიზნები აქვს, სახელმწიფოებს შორის მუდმივად მიმდინარეობს დაპირისპირება და შეჯიბრი. ამ შეჯიბრში კი, ჯ. ლეგროსა და ა. მორავცსიკის (1999) აზრით, ერთ-ერთი მთავარი ელემენტი ქვეყნების ენერგორესურსებია (როგორც მატერიალური რესურსები). ამიტომ სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა „მწირი რესურსების გადანაწილებისთვის მუდმივი ბრძოლაა“ (Legro and Moravcsik, 1999:13). ჯ. მარინ-კემადა, ჯ. გარსია-ვერდუგო და გ. ესკრიბანო (2012) ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოები ენერგორესურსების საკითხში ნაკლებად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და ამ სფეროში უპირატესობას შედარებით სარგებელს ანიჭებენ (ყოველი მხარე ცდილობს სხვაზე მეტი სარგებელი მიიღოს). ამას ადასტურებს

ენერგეტიკის სფეროში გაფორმებული კონტრაქტებიც, რომლებიც ძირითადად ორმხრივია და ხშირად არა სანდო. ეს განსაკუთრებით ეხება გაზის სექტორში გაფორმებულ ხელშეკრულებებს, რომლის მიხედვითაც გაზის შესყიდვა ორმხრივი კონტრაქტების საფუძველზე მილსადენებით ხდება (Marín-Quemada, J. M., García-Verdugo, J., Escribano, G.,2012).

### 3) სახელმწიფოს მატერიალური რესურსები

ნებისმიერი ქვეყნისთვის მატერიალური რესურსების ფლობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი მატერიალური რესურსები შეიძლება იყოს: გეოგრაფია, ენერგორესურსები, ინდუსტრიული და სამხედრო შესაძლებლობები, მოსახლეობა, დიპლომატია და მთავრობის ხარისხი (Sutch and Elias, 2007:49). ისინი ქვეყნის „მაგარი ძალის“ (“hard power”) შემადგენელი ელემენტები არიან და, ამდენად, მათ სტრატეგიული მნიშვნელობა აქვთ. ა. ორბანი (2008) ამ მხრივ განსაკუთრებით ენერგორესურსების როლს უსვამს ხაზს, რომელიც სახელმწიფოს გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში მოიპოვება და ქვეყნის წარმოების შესაძლებლობებსაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს. მდიდარი ენერგორესურსები სახელმწიფოს ძალის მაქსიმიზაციის აუცილებელი წინაპირობაა. ამ რესურსების წყალობით ხდება ეკონომიკის იმ დარგების განვითარება, რომლებიც ქვეყნის „მაგარი ძალის“ - სამხედრო შესაძლებლობების - მაქსიმიზაციას განაპირობებს (Orban, 2008). ამიტომ ენერგორესურსები სტრატეგიული დანიშნულების რესურსია ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. ეს კი ნიშნავს, რომ ენერგორესურსები ქვეყნების ეროვნული ინტერესების ნაწილია. სწორედ ამიტომ მწვავედება სახელმწიფოებს შორის შეჯიბრი ენერგორესურსების კონტექსტში (ისინი საკუთარი ეროვნული ინტერესების აღსრულებას მიეღობიან, პირველ რიგში, როგორც ეს ზემოთ აღინიშნა). ხშირად ენერგორესურსების ირგვლივ წარმოქმნილი შეჯიბრი და დაპირისპირება სახელმწიფოებს ხელს უშლის სხვა სფეროებში თანამშრომლობაში; ანუ ენერგორესურსებს ერთგვარი „გადადინების“ უარყოფითი ეფექტიც აქვს (Marín-Quemada et al, 2012: 88).

ენერგორესურსებსა და საგარეო პოლიტიკის თემატიკაზე შექმნილი ზემოთ ხსენებული ლიტერატურის ძირითადი ნაკლოვანება არის ის, რომ ეს ნაშრომები ემპირიულ მასალასაა მოკლებული. ისინი საკვლევი თემის მხოლოდ ზოგად თეორიულ ასპექტებს მიმოიხილავენ, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საუბარია მაგალითებზე, ეს ნაშრომები ძირითადად მხოლოდ დიდი ქვეყნების (აშშ, რუსეთი) და სუპრანაციონალური ორგანოების გადაწყვეტილებებზე (ევროკავშირი) შემთხვევებზე საუბრობენ. გარდა ამისა, ენერგორესურსებისა და პოლიტიკის

კავშირზე მსჯელობისას ძირითადად მხოლოდ ნავთობის როლი აღინიშნება. ბუნებრივი აირის მნიშვნელობაზე ცალკე არც ერთი ავტორი არ საუბრობს. ყოველივე ამისგან განსხვავებით წინამდებარე ნაშრომში ხაზგასმულია პატარა/სუსტი სახელმწიფოების გაზის რესურსებისა და ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკას შორის კავშირი.

## მეთოდოლოგია

მთავარი საკვლევი კითხვიდან გამომდინარე, ნაშრომში ძირითადად თეორიული მასალაა მოძიებული და დამუშავებული, რაც, თავის მხრივ, თვისობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. ამ ნაშრომში გამოყენებულია ერთ-ერთი ასეთი მეთოდი- შემთხვევის შესწავლა (case study), რომლის საშუალებითაც ხდება ამა თუ იმ მოვლენაზე სიღრმისეული დაკვირვება კონკრეტული შემთხვევის მიხედვით. ნაშრომში ასეთი „მოვლენა“ გაზის ფაქტორსა (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) და პატარა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას შორის არსებული კავშირი, ხოლო „კონკრეტული შემთხვევა“ კი სამხრეთ კავკასიის სამი ქვეყანაა, მით უფრო, რომ შემთხვევის შესწავლის მეთოდი ხშირად გულისხმობს არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე შემთხვევის განხილვას და ანალიზს, თუ ყველა მათგანი ერთ კონკრეტულ საკვლევ მოვლენას უკავშირდება (Yin, 2013).

შემთხვევის შესწავლის მეთოდი ძირითადად ეყრდნობა ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული წყაროებისგან მიღებულ ინფორმაციას, მათ შორის სხვადასხვა თვისობრივ და რაოდენობრივ მაჩვენებლებს (Lamnek, 2010). სამხრეთ კავკასიის ქვეყნების პოლიტიკასა და გაზის რესურსებს შორის კავშირის ანალიზისას გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი ხასიათის ინფორმაცია - სტატისტიკური მაჩვენებლები ენერგორესურსების შესახებ, ოფიციალური დოკუმენტები საგარეო პოლიტიკის შესახებ, აკადემიური სტატიები/წიგნები, მედიაში გამოქვეყნებული ინფორმაცია და ა.შ. გარდა ამისა, ჩატარდა ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები რესპოდენტებთან, რომელთა პროფესიული მოღვაწეობა და გამოცდილება დაკავშირებულია ენერგორესურსების საკითხებთან და საერთაშორისო ურთიერთობებთან.[†]

ზემოთ ხსენებული წყაროების გამოყენება და დამუშავება კვლევის კიდევ ერთი მეთოდის - კონტენტ ანალიზის - გამოყენებას გულისხმობს. ზოგადად, კონტენტ ანალიზი შეიძლება იყოს როგორც რაოდენობრივი (კონცენტრაცია დათვლაზე და აღირცხვაზე), ისე თვისობრივი

(გაგებასა და ინტერპრეტირებაზე ორიენტირება)(Neuendorf and Kumar, 2015). ნაშრომში გამოყენებულია თვისობრივი კონტენტ ანალიზი, ვინაიდან ზემოთ ხსენებულ საჯარო წყაროებში მოხდა კვლევისათვის საინტერესო ცნების/საკითხის -გაზის რესურსების- შესახებ მონაცემების მოძიება და მათი დაკავშირება და ინტერპრეტირება საგარეო პოლიტიკის კონტექსტში.

### **სამხრეთ კავკასიის რეგიონი**

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების შემთხვევები (cases) მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ ისინი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი რეგიონის პატარა სახელმწიფოები არიან (სამხრეთ კავკასია ხშირად განიხილება, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი დერეფანი). მათი საგარეო პოლიტიკური კურსი კი ერთმანეთისაგან განსხვავებულია. მიუხედავად ამ განსხვავებისა, სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს არაერთი საერთო მახასიათებელი გააჩნიათ. კერძოდ, ყველა მათგანი პატარა სახელმწიფოა რაოდენობრივი (ფართობი, მოსახლეობა, სამხედრო ძალა, მშპ)[4] და ხარისხობრივი (საერთაშორისო არენაზე გავლენის მოხდენის უუნარობა)[5] მაჩვენებლების გათვალისწინებით; ისინი საერთო, გეოპოლიტიკურად მნიშვნელოვანი რეგიონის ნაწილიები არიან; მათ საერთო ისტორია აქვთ (ისინი ჯერ სხვადასხვა იმპერიების, ბოლოს კი ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრები იყვნენ); ყველა მათგანი იზიარებს პოსტსაბჭოთა ქვეყნებისათვის დამახასიათებელ მემკვიდრეობას: სიღარიბე, კორუფცია, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული პრობლემები და ა.შ. თუმცა, არსებობს ერთი ფაქტორი, რომელიც მკვეთრად განასხვავებს ამ ქვეყნებს ერთმანეთისგან- გაზის ფაქტორი.

### **გაზის ფაქტორი აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში**

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან მხოლოდ აზერბაიჯანია მდიდარი ენერგორესურსებით. არსებული მონაცემებით, აზერბაიჯანის გაზის რეზერვები 1.3 ტრილიონ კუბურ მეტრს უტოლდება (BP Statistical Review of World Energy, 2018). ქვეყნის ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას ამ რესურსების მოპოვების, გადამუშავებისა და ექსპორტის (ენერგორესურსების ექსპორტი ქვეყნის მთლიანი ექსპორტის 95%-ს შეადგენს) შედეგად მიღებული შემოსავალი წარმოადგენს. სწორედ ამ შემოსავლით შეძლო აზერბაიჯანმა სამხედრო ძალის (“hard power”) მაქსიმიზაცია; ბოლო წლებში ქვეყნის წლიურმა სამხედრო ბიუჯეტმა 2

მილიარდ დოლარს მიაღწია (SIPRI Fact Sheet, 2017). ამდენად, ბუნებრივია, რომ ენერგორესურსები, მათ შორის, გაზის ინდუსტრია მთლიანად სახელმწიფოს მიერ კუთვნილი კომპანია „სოკარის“ მიერ კონტროლდება; არსებული კანონმდებლობით ენერგო სექტორის პრივატიზაცია დაუშვებელია (EBRD, 2014). აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის დოკუმენტში კი ქვეყნის ენერგოინფრასტრუქტურაზე (ე.ი. მილსადენებზე) განხორციელებული ნებისმიერი სახის შეტევა ეროვნული უსაფრთხოების საფრთხედ განიხილება (აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2007). ეს ყველაფერი კი ხაზს უსვამს გაზის რესურსების სტრატეგიულ მნიშვნელობას სახელმწიფო დონეზე.

ენერგოსექტორში ამერიკული და ევროპული ინვესტიციების წყალობით წყალობით აზერბაიჯანმა შეძლო რუსეთის გავლენისგან განთავისუფლება. სწორედ ამიტომ აქვს ამ ქვეყანას უფრო მეტი შესაძლებლობა, გახდეს დასავლეთისთვის უფრო საინტერესო, ვიდრე ენერგორესურსებით მდიდარ სხვა ქვეყნებს პოსტ-საბჭოთა სივრცეში (ინტერვიუ ბ-ნ ი. ინგვალთან, 2019). ბაქომ მოახერხა, რომ არა მხოლოდ რუსული, არამედ დასავლური ენერგოკომპანიების (ისინი, თავის მხრივ, თავის ქვეყნებს წარმოადგენენ) ჩართვით მოეხდინა გაზის საბადოების (მათ შორის „შაჰ-დენიზის“ საბადო, რომლის მარაგი დაახლოებით 1 ტრილიონი კუბ. მ. გაზია) განვითარება და უმთავრესი სტრატეგიული მილსადენის - „სამხრეთ კავკასიის გაზსადენის“ აშენება, რომელიც, აზერბაიჯანის გარდა, საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიებზე გადის. ამ მილსადენმა მომავალში ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ინიციატივის ფარგლებში „ტრანს-ანატოლიურ“ (TANAP) და „ტრანს-ადრიატიკულ“ (TAP) მილსადენებთან ერთად აზერბაიჯანული გაზის ევროპაში ტრანსპორტირება უნდა უზრუნველყოს (იხ. სურათი 1).



სურათი 1. „სამხრეთის გაზის დერეფნის“ მილსადენები (წყარო: Independent Balkan News Agency)

ზემოთ ხსენებულ გაზის პროექტებს აზერბაიჯანისთვის არა მხოლოდ ენერგეტიკული, არამედ, სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ, ვინაიდან, ისინი, როგორც ყოფილი პრეზიდენტი ილჰამ ალიევი აღნიშნავდა, განაპირობებენ „აზერბაიჯანის თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რომელსაც საერთაშორისო არენაზე სანდრო და საჭირო პარტნიორის იმიჯი აქვს“ (AZERTAG, 2019). ჰეიდარ ალიევის მსგავსად, აზერბაიჯანის ამჟამინდელი პრეზიდენტიც აღიარებს, რომ ენერგოპოტენციალისა და „საუკუნის კონტრაქტის“ გარეშე აზერბაიჯანი ვერ მოახერხებდა წარმატებულ ქვეყნად გარდაქმნას (Trend, 2019). ილჰამ ალიევი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ევროპის გაზით მომარაგების მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ ისინი აზერბაიჯანისთვის არა მხოლოდ ენერგეტიკული, არამედ, ზოგადად, სახელმწიფოებრიობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ინიციატივებია; სწორედ ისინი განაპირობებენ აზერბაიჯანის თანამედროვე სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, რომელსაც საერთაშორისო არენაზე სანდრო და საჭირო პარტნიორის იმიჯი აქვს (AZERTAG, 2019). ქვეყნის პირველი პირების ეს განცხადებები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს გაზის რესურსების მნიშვნელობას აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკის კონტექსტში. მართლაც, ენერგორესურსების წყალობით აზერბაიჯანი „დიდი ძალებისთვის“ განსაკუთრებით საინტერესო გახდა; აშშ-ს ხელშეწყობით შემუშავებული ევროკავშირის „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ინიციატივის ფარგლებში აზერბაიჯანული გაზით უნდა მოხდეს არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ევროპის ქვეყნების განთავისუფლება რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისაგან. ეს კი შეამცირებს რუსეთის გავლენას ევროკავშირის ქვეყნების ენერგოუსაფრთხოებაზე; მით უფრო, რომ მოსკოვი საკუთარ რესურსებს ხშირად პოლიტიკურ იარაღად იყენებს. ამდენად, ევროპის რუსეთზე დამოკიდებულებისგან განთავისუფლება დასავლეთისთვის უფრო გეოპოლიტიკური მნიშვნელობის საკითხია. ამ კონტექსტში კი აზერბაიჯანის როლი უმნიშვნელოვანესია. დასავლეთის დაინტერესება აზერბაიჯანის ენერგოპოტენციალით იმდენად დიდია, რომ ხშირად ევროკავშირიცა და აშშ-ც აზერბაიჯანში არსებულ მძიმე დემოკრატიულ ვითარებაზე თვალს ხუჭავენ მაშინ, როდესაც სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნები ამ კუთხით არაერთხელ გამხდარან დასავლეთის მწვავე კრიტიკის საგანი. თავის მხრივ, აზერბაიჯანის როლი თანაბრად მნიშვნელოვანია მოსკოვისთვისაც, ვინაიდან ევროპის გაზის მომარაგებით შემცირება რუსეთის პოლიტიკური გავლენის შესუსტებას ნიშნავს. ამის გამო

აზერბაიჯანი, როგორც რუსული გაზის კონკურენტი, მოსკოვის პოლიტიკური ინტერესის ობიექტაცაა.

საკუთარი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა „დიდი ძალებისთვის“ აზერბაიჯანმა წარმატებით გამოიყენა. გაზის პროექტების დახმარებით ბაქომ შეძლო ძლიერი ჩრდილოელი მეზობლის ეკონომიკური და, საბოლოოდ, პოლიტიკური გავლენის დაბალანსება (ინტერვიუ ქ-ნ მ. ვალიშვილთან, 2019). მიუხედავად მოსკოვის მცდელობისა, აზერბაიჯანს საგარეო პოლიტიკური კურსი არ შეუცვლია და პრო-რუსულ რეგიონულ ინიციატივებში არ გაწევრიანებულა.

აღსანიშნავია, რომ აზერბაიჯანის მეტ-ნაკლებად წარმატებული ზემოთ აღწერილი საგარეო პოლიტიკური კურსის ანალიზისას ზოგიერთი ავტორი ხაზს უსვამს ქვეყნის განსაკუთრებული გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობას (Vera, 2012). თუმცა, აზერბაიჯანიც, საქართველოც და სომხეთიც ერთი და იგივე სტრატეგიულად მნიშვნელოვანი სამხრეთ კავკასიის რეგიონის ნაწილები არიან, ამიტომ თუ მხედველობაში მივიღებთ მხოლოდ გეოგრაფიული მდებარეობის ფაქტორს, შეუძლებელი იქნება სამხრეთ კავკასიის ქვეყნების სრულიად განსხვავებული საგარეო პოლიტიკური კურსების ახსნა.

გეოგრაფიული ფაქტორის გარდა, ზოგიერთი ავტორი აზერბაიჯანის მიერ რეგიონული ალიანსებისგან დისტანცირების ფაქტს სომხეთ-რუსეთის ურთიერთობებით ხსნის (Aslanli, 2010). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ სომხეთის ფაქტორის არ არსებობის გარეშე, ნაკლებად სავარაუდოა, რომ აზერბაიჯანი ამ ორგანიზაციების აქტიური წევრი იქნებოდა, ვინაიდან ასეთ ორგანიზაციებში გაწევრიანებული პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები მნიშვნელოვანწილად ხდებიან რუსეთზე დამოკიდებული, პირველ რიგში, ეკონომიკური კუთხით (რაც საბოლოოდ პოლიტიკურ დამოკიდებულებაში იზრდება); აზერბაიჯანს კი მდიდარი ენერგორესურსები (ქვეყნის ბიუჯეტის 95%) ამღევს საშუალებას განთავისუფლდეს რუსეთზე დამოკიდებულებისგან.


### **გაზის ფაქტორი სომხეთის საგარეო პოლიტიკაში**

აზერბაიჯანისგან განსხვავებით, სომხეთს საკუთარი ენერგორესურსები არ გააჩნია. გაზის იმპორტი ძირითადად რუსეთიდან ხორციელდება. შედეგად, სომხეთში იმპორტირებული გაზის დაახლოებით 83% რუსულია. (Arka, 2018). ეს ენერგოდამოკიდებულება ხშირად მოსკოვის წინაშე წლობით დაგროვებულ ვალებში აისახება. ენერგო-დავალიანების სანაცვლოდ კი

სომხეთს რუსეთისთვის არაერთი სტრატეგიული მნიშვნელობის ეკონომიკური ობიექტის გადაცემა მოუწია (ინტერვიუ ქ-ნ ლ. ჯერვალიძესთან, 2019). თუმცა, რაც ყველაზე მთავარია, ამ ენერგოდამოკიდებულებამ სომხეთის საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლაც განსაზღვრა. ეს ყველაზე ნათლად 2013 წელს გამოჩნდა, როდესაც ქვეყნის მთავრობამ უარი თქვა, ხელი მოეწერა ევროკავშირთან „ასოციაციის ხელშეკრულებაზე“ („ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA)“ ჩათვლით) და სანაცვლოდ რუსეთის მიერ ინიცირებული „საბაჟო კავშირის“ (ამჟამად „ევრაზიული ეკონომიკური კავშირი“, რომელიც 2015 წლიდან ფუნქციონირებს) წევრობა არჩია. ეს გადაწყვეტილება შეიძლება ქვეყანაში გაზის არ არსებობით და ამის შედეგად, რუსეთზე ენერგო დამოკიდებულებით აიხსნას. როგორც ცნობილია, რუსეთი ხშირად იყენებს ენერგორესურსებს საგარეო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. იგივე მოხდა სომხეთის შემთხვევაშიც: მას შემდეგ, რაც სომხეთმა ევროკავშირთან დაახლოება საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად გამოაცხადა, რუსულმა მხარემ რამდენჯერმე გააფრთხილა სომხეთის პრეზიდენტი, რომ ქვეყნის პრო-ევროპული კურსი რუსეთ-სომხეთის თანამშრომლობას საფრთხეს შეუქმნიდა. საბოლოოდ 2013 წლის ზაფხულში, „აღმოსავლეთის პარტნიორობის“ მესამე [ვილნიუსის] სამიტამდე რამდენიმე თვით ადრე, მოსკოვმა მოკავშირე სომხეთს გაზის ფასი გაუბვირა. შედეგად, სომეხი მოსახლეობისთვის გაზის ფასმა 18%-ით მოიმატა, ელექტროენერჯისამ კი - 26%-ით (ვინაიდან სომხეთის ელექტროენერჯის ერთი მესამედი გაზის თბოელექტროსადგურებიდან გენერირდება) (იხ. დიაგრამა 1). ამ ყველაფერმა ქვეყნის ენერგო უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი საფრთხე შეუქმნა, მით უფრო, რომ არ არსებობდა ალტერნატიული მიწოდების წყარო; სომხეთ-ირანის მილსადენის სომხური ნაწილი უკვე „არმროსგაზზე“ იყო გასხვისებული სომხეთის მთავრობის მიერ. ამ კომპანიის თითქმის 80%-ს კი რუსული „გაზპრომი“ ფლობს (Socor, 2007). ამიტომ ალტერნატიული [ირანული] გაზის შესყიდვა მთლიანად რუსეთის მიერ გაკონტროლდებოდა, ან არასდროს არ განხორციელდებოდა. გარდა ამისა, ირანი, როგორც გაზის მთავარი მიმწოდებელი არც დასავლეთისთვის იქნებოდა მისაღები თუ გავითვალისწინებთ თეირანის წინააღმდეგ აშშ-სა და ევროკავშირის მიერ დაწესებულ საერთაშორისო სანქციებს. ამიტომაც იყო, რომ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ალტერნატიულ იდეას, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ირანული გაზით ევროპის ალტერნატიული მომარაგება სომხეთისა და საქართველოს ტერიტორიებზე გამავალი მილსადენით, მნიშვნელოვანი მხარდაჭერა არ ჰქონია (ინტერვიუ ქ-ნ მარიამ ვალიშვილთან, 2019).

ყოველივე ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, ნათელია, რომ 2013 წელს სომხეთის „საბაჟო კავშირში“ გაწევრიანება უფრო იძულებითი ნაბიჯი იყო, ვიდრე თავისუფალი არჩევანი. ამას მოწმობდა 2013 წელს სომხეთის ენერგეტიკის მინისტრის მიერ გაკეთებული განცხადებაც, რომელმაც აღიარა, რომ „საბაჟო კავშირზე/ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირზე“ უარის თქმის შემთხვევაში ქვეყანას დაემუქრებოდა სერიოზული საფრთხე, ვინაიდან იგი ვერ შეძლებდა, გადაეხადა 300 მილიონ დოლარამდე დაგროვებული რუსული ბუნებრივი აირის ვალი. ამას კი გაცილებით სერიოზული შედეგები მოჰყვებოდა ქვეყნის უსაფრთხოების თვალსაზრისით. ამით სომხეთის მთავრობამ აღიარა, რომ სწორედ გაზთან დაკავშირებული პრობლემების გამო 2013 წელს მას „საბაჟო კავშირის“ გარდა სხვა არჩევანი არ ჰქონია. მსგავსი განახცადი გაკეთდა ქვეყნის იმჟამინდელი პრეზიდენტის მიერაც: სერჟ სარგსიანმა აღნიშნა, რომ მისი მთავრობა ვერ დაუშვებდა გაზის ფასის თითქმის გაორმაგებას, რასაც ელექტროენერჯის ფასის ზრდაც მოყვებოდა, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი „საბაჟო კავშირის“ არჩევა იყო (Ter-Matevosyan, Drnoian, Mkrtchyan and Yepremyan, 2017:350). ეს განცხადებები კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ სომხეთის შემთხვევაში გაზი იქცა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური კურსის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. შეიძლება ითქვას, რომ გაზზე დამოკიდებულების გამო სომხეთმა დაკარგა საგარეო პოლიტიკის დაბალანსების ყველანაირი შესაძლებლობა (ინტერვიუ ბ-ნ ი. ინგვალთან , 2019).

ამდენად, სომხეთის საგარეო პოლიტიკური კურსი ძირითადად პრორუსულია, რაც ამ პატარა სახელმწიფოსთვის, შეიძლება ითქვას, ერთადერთი არჩევანია კიდევ იმიტომაც, რომ, რეალიზმის თეორიის მიხედვით, პატარა სახელმწიფოები ირჩევენ დიდ ძალებთან ალიანსს მაშინ, როდესაც დიდ ძალასთან დაპირისპირების შედეგად არსებული დანაკარგები სარგებელს აღემატება და როდესაც არ არსებობს დიდი ძალების დაბალანსების და კოალიციების შექმნის საშუალება, მით უფრო, თუ პატარა სახელმწიფო მოწინააღმდეგეებითაა შემოსაზღვრული (Mearsheimer, 2001). იგივე შეიძლება ითქვას სომხეთის შემთხვევაშიც, რომელსაც კარგად ესმის რუსეთთან დაპირისპირების და მის წინააღმდეგ კოალიციების შექმნის შესაძლო დანაკარგები (მათ შორის, გაზზე დამოკიდებულების გათვალისწინებით); სომხეთი ასევე ვერ თანამშრომლობს მეზობლებთან, უფრო მეტიც, ორ მათგანთან სამხედრო, თუ დიპლომატიურ დაპირისპირებაშია (აზერბაიჯანი და თურქეთი).



დიაგრამა 1. რუსული გაზის ფასი სომხეთისთვის (წყარო: Energy Charter)

### გაზის ფაქტორი საქართველოს საგარეო პოლიტიკაში

ქვეყნის საგარეო პოლიტიკასა და გაზს შორის კავშირი გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოდან გახდა ნათელი; ამ პერიოდში უკვე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს ძირითადი დონორი რუსული „გაზპრომის“ ნაცვლად აზერბაიჯანული „სოკარი“ გახდებოდა, შესაბამისად, რუსულ გაზს აზერბაიჯანული ჩაანაცვლებდა. ეს კი ქვეყნის უსაფრთხოებას და საგარეო პოლიტიკას საფრთხეს უქმნიდა, ვინაიდან მოსკოვისთვის გაზით ვაჭრობას არა კომერციული, არამედ უფრო პოლიტიკური დატვირთვა აქვს, რაც პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობის მაგალითზე უკვე არაერთხელ გამოჩნდა. საქართველომ ეს თავის თავზეც გამოსცადა. ჯერ კიდევ 20 საუკუნის მიწურულს, როდესაც გადაწყდა აზერბაიჯანული ენერგორესურსების საქართველოს გავლით დასავლეთისკენ ექსპორტირების (ტრანზიტი) საკითხი, რუსეთმა დაიწყო საქართველოს მთავრობის დადანაშაულება პანკისის ხეობაში ჩრდილოეთ კავკასიელი ტერორისტების დახმარებაში. საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, რუსეთის ეს ბრალდება სხვა არაფერი იყო, თუ არა მცდელობა, პრობლემები შეექმნა მილსადენების პროექტებისთვის და საქართველოს სატრანზიტო იმიჯისთვის, რაც, თავის მხრივ, საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო (Blum, 2002). გარდა ამისა, რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისგან განთავისუფლება საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას და რუსეთის გავლენის შესუსტებას ნიშნავდა, რაც კარგად ესმოდა თავად მოსკოვსაც. ამის დასტური იყო 2006 წლის ინციდენტიც, როდესაც ზამთრის დასაწყისში „გაზპრომმა“ გაზის მიწოდება შეუწყვიტა საქართველოს მილსადენზე აფეთქებების

მომიზევებით. საქართველოს იმჟამინდელი პრეზიდენტის- მიხეილ სააკაშვილის მტკიცებით, სწორედ მოსკოვის ორგანიზებული იყო „ეს ენერგოსაბოტაჟი“ და მას მხოლოდ პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა - პასუხი საქართველოს ევროატლანტიკურ საგარეო კურსზე (Chivers, 2006). ამასვე ადასტურებს 2008 წლის ხუთ დღიან ომში რუსეთის მიერ საქართველოზე გამავალი მილსადენების მისამართით განხორციელებული იერიშებიც (Cornell, 2009).

ამდენად, რუსეთსა და საქართველოს შორის გაზის სფეროში არსებული ორმხრივი ურთიერთობა ძირითადად პოლიტიკური ხასიათის, თანამშრომლობას მოკლებული, არასანდო და პრობლემატური აღმოჩნდა. აზერბაიჯანული ბუნებრივი აირით რუსული გაზის იმპორტის ჩანაცვლება და ასევე აზერბაიჯანული გაზის საქართველოს გავლით „სამხრეთ კავკასიის მილსადენით“ დასავლეთისკენ ექსპორტირება (ტრანზიტი) საქართველოსთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ საგარეო პოლიტიკური კუთხითაც. ჯერ კიდევ 2000-იან წლებში პრეზიდენტი შევარდნაძე აცხადებდა, რომ რუსეთისგან ენერგეტიკული განთავისუფლება ქვეყნისთვის აუცილებელი იყო, ვინაიდან ეს „პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის და დასავლეთთან დაახლოების“ საფუძველი იქნებოდა (Tsamalashvili, 2002). დასავლეთთან დაახლოება და ევროანტლანტიკური ინტეგრაცია კი საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენებითაა შესაძლებელი. ამას ოფიციალური დოკუმენტებიც ადასტურებს. მაგალითად, „2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიაში“ აღნიშნულია, რომ „...აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გონივრული გამოყენებით საქართველოს მდგრადი ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობა ეძლევა. შექმნილ ვითარებაში პრაგმატული და შედეგზე ორიენტირებული საგარეო პოლიტიკის გატარება უზრუნველყოფს ქვეყნის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის განმტკიცებას, ინსტიტუციური დემოკრატიის შემდგომ კონსოლიდაციას, მოსახლეობის კეთილდღეობასა და საერთო ევროპულ ოჯახში, ასევე, გლობალური მასშტაბით საქართველოსთვის ღირსეული ადგილის დამკვიდრებას.“ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია კი ზახს უსვამს სატრანზიტო როლის მნიშვნელობას უსაფრთხოების კუთხით და აღნიშნავს, რომ „საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მისი სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერებას. ამ მიზნით იგი მზადაა, კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს საერთაშორისო ენერგეტიკულ, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო პროექტებში.“ (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია).

ყოველივე ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, რომ საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული პარტნიორი აზერბაიჯანი (გაზის ექსპორტიორი ქვეყანა) გახდა; ბაქოსთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი ამოცანის შესრულების წინაპირობაა. მართალია, აზერბაიჯანით რუსეთის, როგორც მთავარი მიმწოდებლის ჩანაცვლება საქართველოსთვის ეკონომიკური კუთხით და ენერგოსაფრთხოების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ნაბიჯად არ შეიძლება ჩაითვალოს (რეალურად არ მომხდარა იმპორტის დივერსიფიკაცია, მოხდა მხოლოდ ერთი მიმწოდებლის ჩანაცვლება მეორეთი), თუმცა, საქართველოსთვის ეს ნაბიჯი, პირველ რიგში, საგარეო პოლიტიკური თვალსაზრისით იყო მნიშვნელოვანი (ინტერვიუ ქ-ნ მ. ვალიშვილთან, 2019<sup>[\*\*]</sup>). სწორედ საგარეო პოლიტიკური ინტერესების გამო არ დაინტერესდა ასევე საქართველო ექსპორტის დივერსიფიკაციის იმ შესაძლებლობით, სადაც მთავარ მიმწოდებლად ირანი განიხილებოდა („სამხრეთის გაზის დერეფნის“ ალტერნატიული ვარიანტი); თეირანთან მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ კურსს ვერ დაემთხვეოდა, მიუხედავად იმისა, რომ გაზის ექსპორტის დივერსიფიკაცია ნებისმიერი პატარა სახელმწიფოს მიზანია (ინტერვიუ ბ-ნ ი. ინგვალთან, 2019).

გაზის ფაქტორი მნიშვნელოვანია ასევე საქართველოს როლისა და მნიშვნელობის გაზრდისათვის საერთაშორისო არენაზე. სწორედ „სამხრეთის გაზის დერეფნის“ პროექტებში მონაწილეობა და ტრანზიტის პოტენციური უწყობს ხელს „დიდი ძალების“ საქართველოთი დაინტერესებას. ამდენად, რაც მეტად იქნება დატვირთული „სამხრეთის გაზის კორიდორი“ (და ევროკავშირზე ორიენტირებული სხვა სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა), ბუნებრივია, მით მეტი იქნება ევროკავშირის წამყვანი ქვეყნების ინტერესი, უზრუნველყოფილ იქნას სტაბილურობა და უსაფრთხოება (მათივე ინტერესებიდან გამომდინარე) რეგიონში (ინტერვიუ ქ-ნ ლ. ჯერვალიდესთან, 2019). აშშ-სა და ევროკავშირისთვის საქართველო საინტერესოა იმიტომ, რომ ამ ქვეყნის გავლით შესაძლებელია აზერბაიჯანული გაზის ტრანსპორტირება ევროპაში, რაც, თავის მხრივ, ევროპის რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებისგან განთავისუფლებას ნიშნავს. ამ ფაქტორის გათვალისწინებით, „სამხრეთის გაზის დერეფნის“ ფარგლებში საქართველოსა და დასავლეთს შორის კავშირი გაღრმავდა, რაც, თავის მხრივ, საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამდენად, გაზის საკითხი საქართველოს უმთავრესი საგარეო პოლიტიკური მიზნის -ევროატლანტიკური ინტეგრაციის- კონტექსტში მნიშვნელოვან როლს ასრულებს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ევრო-ატლანტიკური კურსი ხშირად ქვეყნის ისტორიის, გეოგრაფიის და იდენტობის ფაქტორებთანაა დაკავშირებული, რაც საქართველოს „ევროპულ ოჯახში დაბრუნებას“ გულისხმობს (Nodia, 1998; Kakachia, 2013). სწორედ ამ კონტექსტში იყო საქართველოსთვის გარდამტეხი და უმნიშვნელოვანესი, განთავისუფლებულიყო რუსულ გაზზე დამოკიდებულებისაგან, ვინაიდან იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნის მთავარ მომმარაგებლად რუსული „გაზპრომი“ დარჩებოდა, საქართველო ვერ შეძლებდა აქტიური პროდასავლური საგარეო პოლიტიკის წარმოებას და, მეზობელი სომხეთის მსგავსად, ვერც „ასოცირების ხელშეკრულებას“ მოაწერდა ხელს 2013 წელს (თუნდაც რუსეთის მხრიდან გაზის გადაკეტვის, ან ფასის გაძვირების შედეგად); ისევე როგორც სომხეთი, საქართველოც მოექცეოდა ჩრდილოელი მეზობლის ზეწოლის ქვეშ, გამხდარიყო რუსეთის მიერ შექმნილი ეკონომიკური/პოლიტიკური საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი.

## დასკვნა

ნაშრომის მთავარი მიზანი იყო, განესაზღვრა სამხრეთ კავკასიის პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკურ არჩევანსა და გაზის ფაქტორს (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) შორის კავშირი (თუმცა, ნაშრომი მიზნად არ ისახავდა, იმის მტკიცებას, რომ მხოლოდ გაზის ფაქტორი თამაშობს გადამწყვეტ როლს სამხრეთ კავკასიის ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ფორმირებაში). ანალიზის შედეგად ნათელი გახდა, რომ სამხრეთ კავკასიის თითოეული სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის კონტექსტში, სხვა ფაქტორებთან (აზერბაიჯანის შემთხვევაში: გეოგრაფიული ფაქტორი და რუსეთ-სომხეთის ურთიერთობები; სომხეთის შემთხვევაში: აზერბაიჯანთან და თურქეთთან არსებული დაპირისპირება; საქართველოს შემთხვევაში: ისტორიულ-გეოგრაფიული და იდენტობის საკითხები) ერთად, ასევე მნიშვნელოვანია შიდა ეკონომიკური კონტექსტი, კერძოდ, კი გაზის ფაქტორი (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი), რომელიც გარკვეულწილად ასევე დაკავშირებულია ამ ქვეყნების საგარეო პოლიტიკურ კურსთან.

ნაშრომში უნდა დამტკიცებულიყო ჰოპოთეზა იმის შესახებ, რომ გაზის ფაქტორი (რეზერვები, ექსპორტი ან/და ტრანზიტი) საშუალებას აძლევს სამხრეთ კავკასიის პატარა სახელმწიფოებს - აზერბაიჯანსა და საქართველოს - განთავისუფლდნენ რუსეთის გავლენისაგან და, ამდენად, არ გაწევრიანდნენ „ჩრდილოელი მეზობლის“ მიერ შექმნილ სამხედრო ალიანსებსა და საერთაშორისო ეკონომიკურ, თუ პოლიტიკურ ორგანიზაციებში; სომხეთს კი ეს შესაძლებლობა

არ აქვს; მისი საგარეო პოლიტიკა პრორუსულია და, ამდენად, რუსეთის მიერ შექმნილ საერთაშორისო პოლიტიკურ/ეკონომიკურ ორგანიზაციებში ინტეგრაციისკენაა მიმართული; გაზის ფაქტორი ამ პრორუსული ინტეგრაციული პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილია. აღნიშნული ჰიპოთეზა ნაშრომში სრულად დამტკიცდა: აზერბაიჯანი გაზის მდიდარ რესურსებს და ექსპორტის შესაძლებლობებს ფლობს, რომელსაც, თავის მხრივ, სახელმწიფოსთვის სტრატეგიული დანიშნულება აქვს და აზერბაიჯანის როლს საერთაშორისო დონეზე მნიშვნელოვნად ზრდის; მისი წყალობით, აზერბაიჯანს საშუალება აქვს, დააბალანსოს რუსეთის გავლენა და არ ისწრაფვოდეს მოსკოვის ლიდერობით შექმნილი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობისკენ. საქართველოს შემთხვევაში რუსეთის გაზისგან განთავისუფლებას და აზერბაიჯანული ბუნებრივი აირის ტრანზიტის ფაქტორს უდიდესი საგარეო პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს ქვეყნის უმთავრესი მიზნისთვის- ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციისთვის. სწორედ „აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო და სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის გონივრული გამოყენებით“ უნდა მოხდეს საქართველოს დაბრუნება „საერთო ევროპულ ოჯახში“ (2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია).

## ბიბლიოგრაფია

Andres, Richard B. and Kofman, Michael (2011). European Energy Security: Reducing Volatility of Ukraine-Russia Natural Gas Pricing Disputes. Institute for National Strategic Studies, February 2011.

Arka (2018), 'Armenia negotiating with Russia over gas price – energy ministry', Arka News Agency, 14:51 08.11.2018. Accessed on 21 Nov 2018. Retrieved from: [http://arka.am/en/news/economy/armenia\\_negotiating\\_with\\_russia\\_over\\_gas\\_price\\_energy\\_ministry/](http://arka.am/en/news/economy/armenia_negotiating_with_russia_over_gas_price_energy_ministry/)

Aslanli, A. (2010), 'Azerbaijan - Russia relations: Is foreign policy strategy of Azerbaijan changing?' Turkish Policy Quarterly 9, no. 3: 137–45.

AZERTAG (2019), 'Fifth Ministerial Meeting of Southern Gas Corridor Advisory Council held in Baku President Ilham Aliyev attended the meeting' (speech of the President), 20 Feb 2019, accessed on 4 Jun

2019. Retrieved

from: [https://azertag.az/en/xeber/Fifth\\_Ministerial\\_Meeting\\_of\\_Southern\\_Gas\\_Corridor\\_Advisory\\_Council\\_held\\_in\\_Baku\\_\\_President\\_Ilham\\_Aliyev\\_attended\\_the\\_meeting](https://azertag.az/en/xeber/Fifth_Ministerial_Meeting_of_Southern_Gas_Corridor_Advisory_Council_held_in_Baku__President_Ilham_Aliyev_attended_the_meeting)VIDEO-1248631

Blum, Douglas W. (2002), 'The Russian-Georgian Crisis and Baku-Tbilisi-Ceyhan', PONARS Policy Memo No. 252, Providence College. October 2002. Available at: [http://www.ponarseurasia.org/sites/default/files/policy-memos-pdf/pm\\_0252.pdf](http://www.ponarseurasia.org/sites/default/files/policy-memos-pdf/pm_0252.pdf)

BP Statistical Review of World Energy (June 2018); Accessed on Sep 12, 2018 Retrieved from: <https://www.bp.com/content/dam/bp/en/corporate/pdf/energy-economics/statistical-review/bp-stats-review-2018-full-report.pdf>

Chivers, C.J. (2006), 'Explosions in Russia Cut Gas Pipelines to Georgia', The New York Times, 22 Jan 2016. Accessed on 20 Mar 2019. Retrieved from: <https://www.nytimes.com/2006/01/22/international/europe/explosions-in-russia-cut-gas-pipelines-to-georgia.html>

Cornell, S. (2009), 'Pipeline Power: The War in Georgia and the Future of the Caucasian Energy Corridor', Georgetown Journal of International Affairs, 10(1), 131-139. Retrieved from <http://www.jstor.org/stable/43134198>

Doeser, Fredrik (2011), 'Domestic Politics and Foreign Policy Change in Small States: The Fall of the Danish 'footnote Policy'.,' Cooperation & Conflict 46, no. 2 (June 2011): 222-41.

EBRD (2014), 'Commercial laws of Azerbaijan An assessment by the EBRD', Accessed on May 10, 2018. Retrieved from: [www.ebrd.com/documents/legal-reform/read-the-ebrds-azerbaijan-country-law-assessment.pdf](http://www.ebrd.com/documents/legal-reform/read-the-ebrds-azerbaijan-country-law-assessment.pdf) Legro, Jeffrey W. and Moravcsik, Andrew (1999), 'Is Anybody Still a Realist?', International Security Vol. 24, Issue 2 (1999): 5

Fiona, Hill (2004), 'Energy Empire: Oil, Gas and Russia's Revival', London: FPC

Gvalia, Giorgi (2013), 'Thinking Outside the Bloc: Explaining the Foreign Policies of Small States', Security Studies 22, no. 1 (February 2013):100.

Goldthau, Andreas (2008), 'Resurgent Russia? Rethinking Energy Inc', Policy Review (147): 53-63

Hayrumyan, Naira (2013), 'Gas Politics: Russia Tightens Grip on Armenian Energy Sector with New Gazprom Acquisition', ArmeniaNow, Accessed August 20,

2019. [https://www.armenianow.com/news/50653/armenia\\_russia\\_gas\\_price\\_gazprom](https://www.armenianow.com/news/50653/armenia_russia_gas_price_gazprom)

Hey, Jeanne A. K.(2002), Luxembourg's Foreign Policy: Does Small Size Help or Hinder?; Innovation: The European Journal of Social Sciences 15, no. 3 (September 2002): 211-25

Heydar Aliyev Heritage (2001), „აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის განცხადება აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის "შაჰდენიზის" საბადოდან ბაქო-თბილისი-ერზერუმის მარშრუტით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებულ ცერემონიაზე - 2001/29/09. Available at: <http://lib.aliyevheritage.org/ge/8434330.html>

Kakachia, Kornely (2013), 'European, Asian, or Eurasian?: Georgian Identity and the Struggle for Euro-Atlantic Integration' // Georgian Foreign Policy The Questfor Sustainable Security, Konrad-Adenauer-Stiftung, 2013.

Marín-Quemada, J. M., García-Verdugo, J., Escribano, G. (2012), 'Energy security for the EU in the 21st century : markets, geopolitics and corridors', New York: Routledge.

Marquina, Antonio (2008), 'Energy Security Visions from Asia and Europe', Palgrave Macmillan, ISBN: 9780230595002

Mearsheimer, John J. (2001), 'The Tragedy of Great Power Politics', New York: W.W. Norton and Company (published 2003). ISBN 978-0-393-07624-0.

Neuendorf, Kimberly A. & Kumar, Anup (2015), 'Content analysis' In Gianpietro Mazzoleni (Ed.), 'The international encyclopedia of political communication' (pp.1-10). West Sussex: Wiley.

Nodia, Ghia (1998), "The Georgian Perception of the West,"in: Bruno Coppieters, Alexei Zverev and Dmitri Trenin, (ed). Commonwealth and Independence in Post-Soviet Eurasia, London-Portland, OR: Frank Cass, 1998: 12-43

Orban, Anita (2008), 'Power, Energy and the New Russian Imperialism', Praeger Security International, 2008.

Rutland, Peter (2008), 'Russia as an Energy Superpower', New Political Economy, Vol 13, No 2, pp 203-210.

SIPRI Fact Sheet (2017). Accessed on May 19, 2018. Retrieved from: <https://sipri.org/publications/2018/sipri-fact-sheets/trends-world-military-expenditure-2017>

Smith, Keith C. (2006), 'Security Implications of Russian Energy Policies', CEPS Policy Briefs (No. 90): 1-5.

Socor, Vladimir (2007). Iran-Armenia Gas Pipeline: Far More Than Meets the Eye. Eurasia Daily Monitor Volume: 4 Issue: 56 (Washington DC: Jamestown Foundation).

Sutch, Peter and Elias, Juanita (2007), 'International Relations: The Basics', New York: Routledge, 2007

Ter-Matevosyan, Vahram, Drnoian, Anna, Mkrtchyan, Narek and Yepremyan, Tigran (2017), 'Armenia in the Eurasian Economic Union: reasons for joining and its consequences', Eurasian Geography and Economics, 58:3, 340-360, DOI: 10.1080/15387216.2017.1360193

Trend (2019), 'President Ilham Aliyev attends opening of 26th International Caspian Oil & Gas-2019 Exhibition and Conference', Trend, 29 May 2019. Accessed on 5 Jun 2019. Retrieved from: <https://en.trend.az/azerbaijan/politics/3069410.html>

Tsamalashvili, Eka (2002), "Baku-Tbilisi-Ceyhan and Regional Security Problems", Radio Tavisufleba, 30 Oct. 2002. Accessed on 20 Apr. 2019. Retrieved from: <https://www.radiotavisupleba.ge/a/1524322.html>

Vera, Muniz Omar (2012), 'Elements Of Azeri's Independent Foreign Policy: Energy, Geography, And Global Powers Rivalry', retrieved from University of Central Florida database, accessed on Nov 14

„სემეკი“ (2019), '2018 წლის საქმიანობის ანგარიში', ხელმისაწვდომია: <http://gnerc.org/files/wliuri%20angariSi/2018%20w-report%20-%2015.05.2019.pdf>

2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგია. ნანახია 2019 წ. 27 ნოემბერს;  
ხელმისაწვდომია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებ-  
გვერდზე: <http://www.mfa.gov.ge/getattachment/MainNav/ForeignPolicy/ForeignPolicyStrategy/2019-2022-clebis-saqartvelos-sagareo-politikis-strategia.pdf.aspx>

აზერბაიჯანის ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია (2007); ნანახია 2019 წ. 27 ნოემბერს;  
ხელმისაწვდომია: <https://www.files.ethz.ch/isn/154917/Azerbaijan2007.pdf>

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია ნანახია 2019 წ. 2  
დეკემბერს; ხელმისაწვდომია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებ-  
გვერდზე: <http://www.mfa.gov.ge/MainNav/ForeignPolicy/NationalSecurityConcept.aspx>

ჰეიდარ ალიევის მემკვიდრეობა (2001), „აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჰეიდარ ალიევის განცხადება აზერბაიჯანის რესპუბლიკასა და საქართველოს რესპუბლიკას შორის "შაჰდენიზის" საბადოდან ბაქო-თბილისი-ერზერუმის მარშრუტით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერასთან დაკავშირებულ ცერემონიაზე - 2001 წლის 29 სექტემბერი. ნანახია 3 ივნ. 2019. ხელმისაწვდომია:

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუები:

1. ინტერვიუ ქ-ნი მარიამ ვალიშვილთან (კომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მრჩეველი; წარსულში- საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის პირველი მოადგილე); 18 ნოემბერი 2019 წ.
2. ინტერვიუ ქ-ნი ლიანა ჯერვალიძესთან (ექსპერტი ენერჯეტიკის საკითხებში); 20 ნოემბერი 2019 წ.
3. ინტერვიუ ბ-ნი იოჰან ენგვალთან (Dr. Johan Engvall) (შვედეთის თავდაცვის კვლევითი სააგენტოს (FOI) მკვლევარი); 25 ნოემბერი, 2019 წ.

[\*]ელფოსტა: [garakanidzenata@yahoo.com](mailto:garakanidzenata@yahoo.com)

[†] ინტერვიუს რესპოდენტები იყვნენ: 1. ქ-ნი მარიამ ვალიშვილი- კომპანია „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ გენერალური დირექტორის მრჩეველი (წარსულში- საქართველოს ენერჯეტიკის

მინისტრის პირველი მოადგილე); 2. ქ-ნი ლიანა ჯერვალიძე- ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში; 3. შვედეთის თავდაცვის კვლევითი სააგენტოს (FOI) მკვლევარი- იოჰან ინგვალი (Dr. Johan Engvall). რესპოდენტებმა უპასუხეს კითხვებს, რომლებიც უკავშირდებოდა სამხრეთ კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების გაზის რესურსებს, ექსპორტის შესაძლებლობებს, ამ მხრივ არსებულ პრობლემებს და მათ კავშირს საგარეო პოლიტიკასთან.

[‡] პატარა სახელმწიფოების რაოდენობრივი მაჩვენებლების შესახებ არსებული ნაშრომთაგან საინტერესოა:

Clarke, Colin and Payne, Tony (1987) ,eds., ‘Politics, Security, and Development in Small States’ (Winchester,MA: Allen & Unwin Inc., 1987), XVII;

Jalan, B. (1982), ‘Classification of economies by size’ in Jalan, B. (ed.) ‘Problems and Policies in Small Economies’, London: Croom Helm, 39-48.;

Crowards, T. (2002), Defining the category of ‘small’ states. J. Int. Dev., 14: 143–179.  
doi:10.1002/jid.860;

Thorhallsson, B. (2006), ‘The Size of States in the European Union: Theoretical and Conceptual Perspectives’, Journal of European Integration. 28(1), 7-31.

[§] პატარა სახელმწიფოების ხარისხობრივი მაჩვენებლების შესახებ არსებული ნაშრომთაგან საინტერესოა:

Keohane, RO (1969) ‘Lilliputians’ Dilemma: Small States in International Politics, International Organization, 23:2, 291– 310; რონდელი, ალექსანდრე (2003), ‘პატარა ქვეყანა საერთაშორისო სისტემაში’, გამომცემლობა: თბილისი: მეცნიერება , 2003;

Vital, David (1971), ‘The Survival of Small States’, London: Oxford University Press;

ზახტაძე, რევაზ (2007), ‘გადაწყვეტილების მიღება სუსტ სახელმწიფოში’, ბთკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი. 2007.

[\*\*] ქ-ნ მარიამ ვალიშვილის აზრით, სუსტი ქვეყნები გაზის საკითხებში ხშირად საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტებით ხელმძღვანელობენ, ვიდრე ეკონომიკური გათვლებით. ამის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია უკრაინაც, რომელმაც უარი თქვა გაცილებით იაფ რუსულ გაზზე და ამის ნაცვლად ევროკავშირიდან დაიწყო რევერსული სქემების გამოყენებით ბუნებრივი აირის მიღება ბევრად უფრო მაღალ ფასად. ეს გადაწყვეტილება უკრაინის პროდასავლური კურსისა და ევროკავშირთან დაახლოების მცდელობის შედეგია.

ნათია კეკელიძე

მოქალაქეთა ჩართულობა ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში - სამოქალაქო მრჩეველთა  
საბჭოს პრაქტიკის ანალიზი: 2016-2018 წლები

რეზიუმე

მოქალაქეთა ჩართულობა ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში - სამოქალაქო მრჩეველთა  
საბჭოს პრაქტიკის ანალიზი : 2016-2018 წლები

მოქალაქეების უფლება, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივი საკითხების მართვაში, დემოკრატიული მმართველობის ერთ-ერთი მთავარი პარადიგმაა. წარმომადგენლობითი დემოკრატიის პირობებში შესაძლებელია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ფართო ჩართულობა ქალაქდაგეგმარების პროცესში, რომლის დროსაც ხელისუფლება ვალდებულია, იქონიოს და განავითაროს საზოგადოებრივი ჩართულობის მექანიზმები. მსოფლიოში მოქალაქეთა ჩართულობის არაერთი წარმატებული მაგალითი არსებობს, თუმცა ყველა ქალაქი და მათ შორის, ცალკეული უბნები მუდმივად საჭიროებენ შემუშავებული მექანიზმების დახვეწასა და სოციო-სივრცით მახასიათებლებზე მორგებას.

კვლევის მიზანია, ახალი სავალდებულო-სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პრაქტიკის ანალიზით დადგინდეს, რამდენადაა ქ.თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მისი ინტენსიური დანერგვა, ორიენტირებული მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობაზე.

ნაშრომში კვლევის ამოცანაა გაანალიზდეს ქ. თბილისის გამგეობის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს საქმიანობა ურბანული დაგეგმარების კუთხით, ამასთანავე, დადგინდეს და ასევე გაანალიზდეს ის განხორციელებული პროგრამები, რომლებიც ამ საბჭოების მიერ იქნა ინიცირებული. საბოლოოდ, ერთიანი სურათის მიღების მიზნით, მოცემული იქნება, როგორც საბჭოს წევრების, ისე გამგეობების საჯარო მოხელეების პოზიციები და შეხედულებები საბჭოს საქმიანობის შესახებ.

ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის თავისებურებების შესწავლა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის გამოყენების მაგალითზე, ხოლო კვლევის ობიექტია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, ქალაქ თბილისის ათივე გამგეობა. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ თბილისის ათი გამგეობიდან რეალურად საბჭო მხოლოდ 6 გამგეობაში ფუნქციონირებს. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ საინფორმაციო ღონისძიებებს გამგეობები საკუთარ ტერიტორიულ ერთეულში ძირითადად საჯარო განხილვებითა და საინფორმაციო ბუკლეტების დარიგებით ახორციელებს. გამგეობების ნაწილში, სადაც აქტიური საკომუნიკაციო ღონისძიებები ტარდება საბჭოს წევრთა და მოქალაქეთა დასწრება სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომებსა თუ საჯარო განხილვებში მაღალია. გამგეობების ნაწილში მოქალაქეების მხრიდან ყველაზე მეტად ინფრასტრუქტურული ინიციატივები მუშავდება, რომელთა ნაწილს ითვალისწინებს გამგეობა, ნაწილზე კი უარს აცხადებს და მიზეზად, გამგეობის მცირე ბიუჯეტს ასახელებს.

რაც უფრო ინტენსიურად არის დანერგილი გამგეობებში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმი, მით მეტია მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობა, ვინაიდან, საბჭოს ფუნქციონირების პარალელურად, მისი წევრები აქტიურად ერთვებიან სხდომების მიმდინარეობაში და ხელისუფლების მხრიდან მეტია ანგარიშვალდებულება.

*საკვანძო სიტყვები: მოქალაქეთა ჩართულობა, მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები, ურბანული დაგეგმარება, წარმომადგენლობითი დემოკრატია, მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობა, ანგარიშვალდებულება*

## **Abstract**

Citizens Involvement in Tbilisi Urban Planning – Analysis of Civic Advisory Committees Practice : 2016-2018 years

Author : N. Kekenadze

The right of citizens to participate in the management of public affairs is one of the main paradigm of democratic governance. In the case of representative democracy, various stakeholders may be involved in urban planning. There are many successful examples of citizen participation in the world, but the improvement of elaborated mechanisms are continually underway.

The goal of the research is to determine the new compulsory-advisory body - Civil Advisory Committees, as to what extent the intensive introduction of urban planning in Tbilisi is based on the efficiency of citizens' engagement.

This paper analyzes transcripts of the committees meetings. The research examines the perceptions of Georgian civil servants from the different districts of Tbilisi and members of Civic Advisory Committees.

As a result of the research, it has been revealed that from the ten municipalities of Tbilisi, the Board functions only in 6 district. The Board of Directors of the Civil Advisory committees carries out its own territorial unit mainly through the delivery of public discussions and information booklets. Districts, which have active communication activities, the Council members and attendees are high in the civil advisory council meetings or public hearings. There are more infrastructural initiatives which are being worked by the citizens, but District administrations banned those initiatives. Official reason is a small budget of the district.

Study also shows that intensely implemented Civil Advisory Committees increases effectiveness of citizens' involvement, council members are actively involved in the sessions/meetings. There is high accountability of the government, as well.

**Keywords:** *Accountability, civil engagement, urban planning, representative democracy, civil engagement tools, the effectiveness of citizens involvement.*

## შესავალი

ურბანიზაციის პროცესის დაჩქარებამ საზოგადოება სატრანსპორტო სისტემის, ინფრასტრუქტურის, სამუშაო ადგილების ნაკლებობის, სერვისების გაუმჯობესებისა და სხვა მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს რომ ურბანიზაციის პროცესს არ ძალუძს იყოს მდგრადი განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა. ამის მიიღწევა კი ინოვაციების, განსხვავებული იდეების, შეხედულებების გაერთიანებითა და მათგან საუკეთესოს იმპლემენტაციითაა შესაძლებელი.

დღეს ხშირად გამოიყენებენ ისეთ „ქოლგა“ ტერმინს, როგორც არის თანამონაწილეობითი დაგეგმარება (participatory planning). ამ ტერმინის შიგნით, როგორც აქტორები ცალ-ცალკე ერთიანდებიან საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ინტერესთა ჯგუფები და რაც მთავარია სამოქალაქო საზოგადოება. თითოეული აქტორი თანამონაწილეობითი დაგეგმარების პროცესში ახდენს საბოლოო გადაწყვეტილებაზე ზეგავლენას, ამას ისინი საკუთარი საჭიროებებისა და მოთხოვნილებების ინიცირებით აღწევენ.

დღეს, სამეცნიერო წრეებში არსებობს დისკუსია იმის შესახებ, რომ ურბანულმა დაგეგმარებამ თანამედროვე ერაში ჰიბრიდული სახე მიიღო. თუ საუკუნეების წინ, ქალაქდაგეგმარების შესახებ გადაწყვეტილებებს მხოლოდ საჯარო სექტორი იღებდა, დღეს უკვე ამ პროცესში ჩართულნი არიან ექსპერტები, საზოგადოებრივი აზრის ლიდერები, პოლიტიკური ლიდერები, ე.წ. „გრას-რუტ“ მოძრაობები (grass-roots) და სხვადასხვა ღირებულების ინტერესთა ჯგუფები. ამდენად, გადაწყვეტილებების მიმღები პირებისთვის უფრო მეტად გართულდა აქტორებს შორის ბალანსის შენარჩუნება (Sehested, 2009). მხოლოდ მათი სწორად იდენტიფიცირების შემდეგაა შესაძლებელი, ადგილობრივ დონეზე წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად და ამ პრობლემების გადაწყვეტაში სხვადასხვა აქტორებთან ერთად მოქალაქეთა აქტიურად მოზიდვისათვის განსხვავებული მექანიზმების მოძიება და გამოყენება. მსოფლიოში მოქალაქეთა ჩართულობის არაერთი წარმატებული მაგალითი არსებობს, თუმცა მუდმივად მიმდინარეობს შემუშავებული მექანიზმების დახვეწა და განვითარება. მიუხედავად არსებული წარმატებული მაგალითებისა, შეუძლებელია ერთიანი ფორმულის შემუშავება, ვერ გამოვყოფთ ერთ კონკრეტულ მიდგომას ან მექანიზმს, რომელიც ყველაზე ეფექტიანი აღმოჩნდება. ამის მიზეზი ისაა, რომ მოქალაქეთა ჩართულობა მთლიანად დამოკიდებულია ამა თუ იმ საზოგადოების თავისებურებებზე.

მსოფლიო სამართლის პროექტის“ (World Justice Project) 2015 წლის ღია მმართველობის საერთაშორისო ინდექსის კვლევისას საქართველოში გამოკითხულთა 83%-ს ადგილობრივ ხელისუფლებასთან კომუნიკაციის პროცესში ბარიერები არ აქვს. თუმცა, მნიშვნელოვნად დაბალი, 32%-ია იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომელთაც მიაჩნიათ, რომ ადგილობრივ იხელისუფლების წარმომადგენლები გადაწყვეტილების მიღებამდე საზოგადოებასთან კონსულტაციას ეფექტურად ახორციელებენ (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების

ინსტიტუტი (IDFI), 2015) (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2015) (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2015) (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), 2015).

ამასთანავე, საკითხს მეტ აქტუალობას ის სძენს რომ, მსოფლიო სამართლის პროექტის ( World Justice Project) -კვლევისგან განსხვავებით, 2015 წელს ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) თბილისის ოფისის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები გვიჩვენებს, რომ მოსახლეობასა და ადგილობრივ თვითმმართველობას (მერი/გამგებელი, საკრებულოს წევრები, გუბერნატორი) შორის კომუნიკაცია მინიმალურია: 2014 წლის არჩევნების შემდეგ, საკრებულოს წარმომადგენელი დაკავშირებია გამოკითხულთა 6%-ს, მერიის წარმომადგენელი – 3%-ს, გუბერნატორის წარმომადგენელი კი მხოლოდ 1%-ს. მოქალაქეების ინფორმირებულობა თვითმმართველი ორგანოების საქმიანობის შესახებ, ასევე ძალიან დაბალია: მოსახლეობის დაახლოებით 60% ამბობს, რომ “საერთოდ არაფერი იცის” მათი საქმიანობის შესახებ, 83%-მა კი ვერ შეძლო დაესახელებინა მისი საკრებულოს მაჟორიტარი (ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი(NDI), 2015).

არსებული ნაკლოვანებებისა და სხვა პრობლემების დაძლევისთვის 2015 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შევიდა ცვლილები, რომლებიც მუნიციპალიტეტს/მერიას/გამგებობას ავალდებულებს გამოიყენოს მოქალაქეთა მონაწილეობის ახალი დამატებითი ფორმა - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო. ახალი მექანიზმის შექმნის პარალელურად, „კონსულტაციებისა და ტრენინგების ცენტრის“ (CTC), „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისა“ (IDFI) და „მმართველობითი სისტემების განვითარების ცენტრის“ (MSDC) ერთობლივი ძალისხმევით 2017 წელს შეიქმნა „ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი“.

ინდექსის მიხედვით, ბოლო ერთი წლის განმავლობაში 18 მუნიციპალიტეტში სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა საერთოდ არ გამართულა. შესაბამისად, ეს მუნიციპალიტეტები პროაქტიულად ვერ განათავსებდნენ საბჭოს სხდომების ოქმებსაც, დანარჩენი 53 მუნიციპალიტეტიდან სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმების ვებგვერდზე განთავსების პრაქტიკა ფიქსირდება მხოლოდ 8 მუნიციპალიტეტის შემთხვევაში - რუსთავი, ჩხოროწყუ, გორი, თეთრიწყარო, ახალციხე, დმანისი, ახმეტა, აბაშა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2017)

ეს საკითხი თანთაგან განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს და ვინაიდან, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ახალი დანერგილი სათათბირო-სავალდებულო ორგანოა, ქალაქ თბილისში ამ ორგანოს ფუნქციონირების შესახებ კვლევა ჯერ არ ჩატარებულა, ამიტომ ამ თვალსაზრისით, აღნიშნული კვლევა წარმოადგენს სიახლეს.

კვლევის მიზანია, ახალი სავალდებულო-სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს პრაქტიკის ანალიზით დადგინდეს, რამდენადაა ქ.თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მისი დანერგვა ორიენტირებული მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობასა და ხარისხის ზრდასზე.

ნაშრომში კვლევის ამოცანაა, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმების, შემუშავებული ინიციატივებისა და პროექტების საფუძველზე დავადგინოთ, თუ რამდენად გამოიწვია დაინტერესება მოქალაქეებში ახალი სათათბირო ორგანოს შექმნამ, ჩართულიყვნენ ადგილობრივ თვითმმართველობაში. გამგეობებისა და საბჭოს წარმომადგენლებთან ინტერვიუების გზით დავადგინოთ, მიმდინარეობდა თუ არა აქტიურად საბჭოს შეხვედრები, ასევე შემუშავებული ინიციატივების, საბჭოსა და გამგეობის წარმომადგენლების შეხვედრის საფუძველზე, რამდენად იქნა დამტკიცებული ეს ინიციატივები და განხორციელებული პრაქტიკაში.

ნაშრომში კვლევის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის თავისებურებების შესწავლა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის გამოყენების მაგალითზე. კვლევის ობიექტია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, ქალაქ თბილისის ათივე გამგეობა. კვლევის ობიექტს წარმოადგენს ასევე სხვადასხვა მეორეული წყარო, თბილისის ახალი გენგეგმა.

შესაბამისად, ნაშრომში ჩამოყალიბდა ძირითადი საკვლევი კითხვა: რამდენად განაპირობებს ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობას სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის დანერგვა? ნაშრომში წარმოდგენილია ასევე ქვეკითხვა: რამდენად განაპირობებს ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში მოქალაქეთა ჩართულობის ზრდას, მათი ინფორმირებულობა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მექანიზმის შესახებ ?

ძირითად საკვლევ კითხვასა და ქვეკითხვას პასუხობს ძირითადი ჰიპოთეზა და ასევე ქვეჰიპოთეზა. ჰიპოთეზა: რაც უფრო ინტენსიურად არის ადგილობრივ

თვითმმართველობაში დანერგილი თანამონაწილეობითი სავალდებულო მექანიზმი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, მით მეტია მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობა ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში. *ქვეპიპოთეზა*: რაც უფრო მეტად არიან მოქალაქეები ინფორმირებულები სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ, მით მეტად არიან ისინი ჩართულნი ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში.

წინამდებარე კვლევა, რომელიც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ინტენსიური დანერგვის პრაქტიკის ანალიზზე იკვლევს მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტურობის ზრდას, ეყრდნობა პ. საბატის „მხარდამჭერი კოალიციების“ მოდელს (Advocacy Coalition Framework of Public Policymaking) და გვთავაზობს „4P“ (Public Private People Partnerships) ახალი და ინოვაციური თეორიის მიხედვით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სიტუაციის ანალიზს.

ერთი მხრივ, საბატის „მხარდამჭერი კოალიციების“ მოდელი აღწერს სხვადასხვა აქტორის გაერთიანების პროცესს (მათ ერთ კოალიციად ჩამოყალიბებას ჩართულობის პროცესში) და საკუთარი მოთხოვნებისა და საჭიროებების შეტანას დღის წესრიგში (მოდელი აღწერს სხვადასხვა კოალიციების ეფექტიანობას ჩართულობის პროცესში, როდესაც ისინი ან სტაბილურს ხდიან პოლიტიკურ გარემოს, ან სერიოზული ცვლილებების მომტანი არიან) მეორე მხრივ, „4P“ (Public Private People Partnerships) -ის ახალი და ინოვაციური თეორია გვთავაზობს, საბატის „მხარდამჭერი კოალიციების“ მოდელთან ერთად უშუალოდ მოქალაქეთა ჩართულობის ცალკეულ პარადიგმას. ეს თეორია გარკვეულწილად წარმოადგენს საბატის „მხარდამჭერი კოალიციების“ თეორიაში იმ არსებული „ორმოების“ შევსებას, სადაც შესაძლოა ჩართულობის პროცესში დაკარგული იყოს მოქალაქეთა ხმა. თეორია მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობისა და ხარისხის ზრდის მთავარ საშუალებად ქალაქდაგეგმარების პროცესში მოქალაქეების, როგორც ცალკეული აქტორების სავალდებულო ჩართვას ეფუძნება.

4P-ს თეორია სწორედ 3P-ს თეორიის კრიტიკიდან აღმოცენდა (Perjo, Fredricsson, & Costa, 2016). 4P(Public-Private-People-Partnership) თეორიისთვის მთავარი გამოწვევა გადაწყვეტილებების მიღების ინკლუზიურობაა. საჯარო - კერძოს პარტნიორობის კონცეფციაში „ხალხის“ დამატებით ავტორები - სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის როლის გაზრდაზე აქცენტირებენ. მთავარი განსხვავება 3P და 4P კონცეფციაში არის ის, რომ თუ პირველ მათგანში კერძო და საჯარო სექტორი საუკეთესო შემთხვევაში საზოგადოებასთან ცალ-ცალკე ატარებდა კონსულტაციას კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებამდე და ხალხის

მოთხოვნა შესაძლოა დაგეგმივიდან იმპლემენტაციამდე რომელიმე ეტაპზე დაკარგულიყო, 4P კონცეფციაში კერძო, საჯარო და სამოქალაქო საზოგადოება ერთობლივად მსჯელობს და აქ, ნაკლებია იმის შანსი, რომ მოქალაქეთა ინტერესები არ ჩანდეს (Perjo, Fredricsson, & Costa, 2016).

ეს თეორია ასევე იძლევა საშუალებას ჩართულობით მექანიზმებში გავზომოთ მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხი და ეფექტიანობა, რადგან აქ უკეთ ჩანს კონკრეტულად მოქალაქეების ინიციატივებისა და ხელისუფლების მხრიდან გათვალისწინებული რეკომენდაციები (განსხვავებით კერძო და საჯარო სექტორის პარტნიორობისგან, რადგან როგორც უკვე აღინიშნა ამ პროცესში აღრეულია ან დაკარგულია მოქალაქეთა საჭიროებები). ჩვენ შესაძლებლობა გვძლევს მოქალაქეების, როგორც ცალკეული აქტორის, ცალკეული ჯგუფის შესწავლა ქალაქდაგეგმარებაში. ამდენად, 4P კონცეფციის მთავარი არსი მოქალაქეები არიან, თეორია გვთავაზობს შევქმნათ ისეთი მოქალაქეთა ჩართულობაზე ორიენტირებული მექანიზმი, რომელიც ღიაა სხვა ყველა აქტორებისთვის. აქ მთავარი სიტყვები სწორედ „მოქალაქეთა ჩართულობაზე ორიენტირებული მექანიზმი“ და არა „ჩართულობაზე ორიენტირებული მექანიზმი“ (Kalbro, Lindgren, & Paulsson, 2015). საჯარო სექტორის როლი ამ კონცეფციაში დანახულია, როგორც ფასილიტატორი, რომელიც მოახდენს იდეების გენერირებას და ყველა ეტაპს შეათანხმებს მექანიზმში ჩართულ აქტორებთან (Gustafson & Hertting, 2016).

### **ლიტერატურის მიმოხილვა**

დემოკრატიული ჩართულობის თეორიები საჯარო პოლიტიკისა და ადმინისტრირების სფეროში ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში 1980-იანი წლებიდან ვითარდება. ეფექტური დემოკრატიული ჩართულობის მიზანია, მოქალაქე გახდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ნაწილი და არა ობიექტი იმ გადაწყვეტილებისა (Tickner, 2001). იგივე მოსაზრებას იზიარებს კრეიგტონიც, ის წერს, რომ საჯარო ჩართულობა, ესაა პროცესი, რომელშიც ხალხის საჭიროებები და ღირებულებები კომბინირებულია სამთავრობო გადაწყვეტილებებთან, რაც გულისხმობს ორმხრივი კომუნიკაციას და ურთიერთქმედებას, საერთო მიზნის მისაღწევად (Creighton, 2005). ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD, 2001) თანახმად, მთავრობისა და მოქალაქეების ურთიერთქმედება მოიცავს პოლიტიკის ციკლის ყველა საფეხურს, პოლიტიკის დაგეგმვიდან მის განხორციელებასა და შეფასებამდე (Margvelashvili, 2016).

მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობისა და ხარისხის გასაზომად საჭიროა შემდეგი ეტაპების შესწავლა. ეს ეტაპებია: ინფორმირება, რომელიც თავისი არსით ცალმხრივი პროცესია, ამ ეტაპზე სამთავრობო ოფიციალური პირები უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიწოდებას მოქალაქეებისათვის. ინფორმირების ეტაპზე ურთიერთქმედებაში მოქალაქეს პასიური როლი აქვს და დამოკიდებულია მთავრობის მიერ ინფორმაციის აქტიურად მიწოდებაზე; მეორე ეტაპია კონსულტირება, სადაც გვაქვს საქმე ორმხრივი ურთიერთქმედების პროცესთან, ამ შემთხვევაში მოქალაქეებს ეძლევათ უკუკავშირის შესაძლებლობა. მესამე ეტაპზე: აქტიური მონაწილეობა ემყარება პარტნიორობას, სადაც მოქალაქეს აქვს აქტიური როლი და მონაწილეობს პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში. ამ ეტაპზე ყველაზე მეტად ჩანს მოქალაქის პოზიციის მნიშვნელობა პოლიტიკის ალტერნატივების შეთავაზებასა და პოლიტიკური დიალოგის ფორმირებაში (Margvelashvili, 2016).

მოსახლეობის ჩართვა საჯარო პოლიტიკურ პროცესში 70-იანი წლების დიდ ბრიტანეთსა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაიწყო. ომგამოვლილ ქვეყნებში ქალაქებისა აღდგენა სწორედ სამოქალაქო საზოგადოების ჩართვით დაიწყო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კი მოქალაქეთა ჩართვა მოგვიანებით, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო (Stauskis, 2014). 1940-იან წლებში, მეორე მსოფლიო ომში დაბომბილი ბრიტანული ქალაქების აღდგენისას, მოსახლეობის დიდი ინტერესი გადაიზარდა დამგეგმარებლების მიერ შემუშავებულ ახალ ტექნიკასთან, რაც გულისხმობდა მოსახლეობასთან აქტიურ კომუნიკაციას და გამოიხატა თანამედროვე ფორუმების ფორმატში სხვადასხვა გეგმებისა და გადაწყვეტილებების თაობაზე საზოგადოების ინფორმირებისა და აზრის გამოკითხვაში (Stauskis, 2014). თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესი დროთაგანმავლობაში გავრცელდა ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში. გაჩნდა იმის შეგრძნება, რომ სახელმწიფო სრულად ვერ ასახავდა მოსახლეობის საჭიროებებს, ვინაიდან დაგეგმვა ძირითადად ადგილობრივი ხელისუფლების, სამთავრობო უწყებების და მათთან ერთად, კერძო სექტორის მიერ ხორციელდებოდა.

თანამონაწილეობის შესახებ საუბარს ხშირად იწყებენ ადამიანთა უფლებებით. პირველი კავშირი, ამ თვალსაზრისით, თანამონაწილეობას, დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს შორის ჩრდილოეთ ამერიკაში გაჩნდა, როდესაც მოსახლეობის მონაწილეობის მოთხოვნა დადგა სამოქალაქო უფლებების ინიციატივის სახით, რაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეების მონაწილეობას გულისხმობდა. კვლევის პროცესში საინტერესო იყო 1971 წელს

აშშ-ს ტრანსპორტის დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ სემინარების შედეგების გაცნობა. სადაც ჩანს, რომ მოქალაქეები დაგეგმარების მანამდე არსებული პრაქტიკის გამოყენებისას თავს გარიყულად გრძობდნენ (აბულაძე, 2016). აშშ-ში დანერგილი თანამონაწილეობის მექანიზმი სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელდა, ამ მექანიზმის დანერგვას მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია უჭერდა მხარს.

მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის გასაზომად სხვადასხვა კრიტერიუმი და ინდიკატორია შემოთავაზებული სამეცნიერო ლტერატურაში. მთავარ კრიტერიუმებს სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეებთან კომუნიკაცია წარმოადგენს, შემდეგი კრიტერიუმია მოქალაქეთა ინტერესი ჩაერთონ ქალაქდაგეგმარების პროცესში; მათ მიერ შემუშავებული ინიციატივების იმპლემენტაცია, ამ ინიციატივების მასშტაბურობა. ვფიქრობ, ზემოთ აღნიშნულ ინდიკატორებთან ერთად, მნიშვნელოვანია ინტერესთა ჯგუფების იდენტიფიცირებაც. იდენტიფიცირების პროცესში, საინტერესოა, ის თუ რა არის ამ ჯგუფების მთავარი მოტივაცია, რატომ ერთვებიან ისინი ქალაქდაგეგმარებაში, არის თუ არა კონფლიქტი ამ აქტორებს შორის. ბრუდი თვლის, რომ მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობა მთლიანად დამოკიდებულია სახელმწიფო თვითმმართველ ოლქზე. რამდენად არის იგი ღია მიიღოს ინიციატივები, რამდენად არის მზად საზოგადოებასთან კონსულტაციისთვის, რამდენად აქვს შემუშავებული მოქალაქეთა ჩართულობის ის მექანიზმები, რომლებიც დააბალანსებს, როგორც მოქალაქეებს შორის არსებულ განსხვავებულ შეხედულებებს, ისე სხვადასხვა აქტორების მოთხოვნებსა და საჭიროებებს (Brody & Burby, 2003).

ჩართულობის ეტაპი, მიზანი და ტექნიკა - ეს მნიშვნელოვანი სამეული ჩანს მთავარ ინდიკატორად ბერბისთან (Burby, 2003). ავტორი წერს, რომ ეფექტიანობის შეფასებისას, მოქალაქეთა ჩართულობის პრაქტიკული ანალიზის პროცესში შესწავლილი უნდა იყოს რამდენიმე კონკრეტული დროითი მონაკვეთი, სოციალური-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია და შემდგომ უნდა მოხდეს მონაცემების შეჯერება. ავტორი ასევე გამოყოფს, მიზანს, იმას თუ რა მიზნები აქვთ პოტენციურ მთავარ აქტორებს. კერძო სექტორის წარმომადგენლებს, ხომ არ მოხდა ამ მიზნებით მოქალაქეთა ინიციატივების გადაფარვა ან რამდენად შეჯერდა და გადაიკვეთა საერთო მიზნები. რაც შეეხება მესამე კრიტერიუმს, ეს გახლავთ ტექნიკა, იგივე მექანიზმები, ის თუ რა საშუალებებით რთავს სახელმწიფო საზოგადოებას ქალაქდაგეგმარებაში.

ბერბისგან განსხვავებით, ვებლერი ეფექტიანობის შესაფასებლად მიიჩნევს, რომ მოქალაქეების რწმენა და სახელმწიფოს მხრიდან, პატივისცემის (მოქალაქეების მიერ ხმამაღლა გაჟღერებულ პრობლემებზე) გრძნობის გაჩენა მთავარი კრიტერიუმი უნდა იყოს. შეფასების პროცესში ჯერ თავად საზოგადოების რწმენა-წარმოდგენები და მოლოდინები უნდა ვიკვლიოთ კონკრეტული ჩართულობის მექანიზმის ფორმის მიმართ (Webler & Krueger, 2001). ავტორისთვის შესაძლებლობა (ability), სურვილი (desire), უფლებამოსილება; მონაწილეობის შესაძლებლობა - ის კრიტერიუმებია, რასაც იგი წარმატებული მონაწილეობის ნიშნებად თვლის. ავტორი წერს, რომ უნდა არსებობდეს რესურსები, ცოდნა და უნარ-ჩვევები მონაწილეობის მისაღებად. მოქალაქეებს უნდა ჰქონდეთ შეგრძნება ან დადასტურება იმისა, რომ მათი მოსაზრებები ასახულია შესაბამის გადაწყვეტილებებში (Webler & Krueger, 2001).

თანამონაწილეობითი დაგეგმარების ისტორია არასამთავრობო ორგანიზაციების (NGO) როლის გარეშე არ არსებობს. პირველი დანერგილი მექანიზმებში საჯარო და კერძო სექტორთან ერთად არასამთავრობო ორგანიზაციები, როგორც მნიშვნელოვანი აქტორები გვევლინებიან. მათთან ერთად, ცალკეა გამოკვეთილი სხვადასხვა დარგის ექსპერტების კონტრიბუცია. თუმცა მათგან განსხვავებით, მოქალაქეები, რომლებიც ერთმანეთის მეზობლად ცხოვრობენ უკეთ ხედავენ ყოველდღიურ პრობლემებს და უკეთ იციან საკუთარი საჭიროებები. ამდენად, ხელისუფლებამ უნდა გაითვალისწინოს, როგორც მოსახლეობის, ისე კერძო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ინტერესთა ჯგუფების ხედვები.

4P კონცეფციაში, როგორც უკვე გავაცანით, სახელმწიფოს, როგორც ფასილიტატორს, მნიშვნელოვანი როლი აკისრია. სახელმწიფოს მხრიდან, კონსულტაციის პროცესში გამოყოფენ რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს. პირველი ეს არის საჭიროების შეფასება/ დაგეგმვის არეალის განსაზღვრა, როდესაც თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესი მოსახლეობის საჭიროებათა შეფასებით იწყება, ასეთ დროს ძირითადად ხდება კონკრეტული ტერიტორიის სოციალური და ეკონომიკური ინდიკატორების დინამიკის გათვალისწინება; მეორე ასეთი ეტაპია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საინფორმაციო კამპანიის წარმოება, როცა ინფორმაციის გავრცელება ხდება ადგილობრივი ბეჭდური და ელექტრონული მედიის, სოციალური ქსელების მეშვეობით, ან თავშეყრის ადგილებში და ორგანიზაციებში განცხადებების გაკვრით და სხვა საშუალებებით. შემდეგი ეტაპია მოსახლეობასთან საჯარო შეხვედრა, როცა პროცესით დაინტერესებული მოქალაქეების შეკრება ხდება. 4P კონცეფციისგან განსხვავებით, ზოგჯერ

თანამონაწილეობითი დაგეგმვის პროცესი გაგებულა იმგვარად, რომ დაგეგმვაში მონაწილეობს, სწორედ ის არის, ვინც უნდა მონაწილეობდეს („Who ever comes is the right people“). ანუ, ნებისმიერი პიროვნება სასურველია და ვინც მოვა, სწორედ ის არის, ვინც უნდა მონაწილეობდეს (20-200 ან მეტი მონაწილე)“ (აბულაძე, 2016). შემდგომ ეტაპზე ხდება საერთო ხედვის შემუშავება და ბოლოს შედეგების თაობაზე სახელმწიფოს მხრიდან მოსახლეობის ინფორმირებულობა. რაც, რა თქმა უნდა, 4P კონცეფციაში მთლიანად უარყოფილია. მნიშვნელოვანია საზოგადოების მაქსიმალური ჩართულობა და სახელმწიფოს მხრიდან, იმ მიზეზების ძიება, თუ რატომ არ ერთვება საზოგადოების უმრავლესობა. შესაბამისად, ამ პრობლემის მოგვარების გზებზე ფიქრის შემდეგ, უნდა დაიწყოს სახელმწიფომ ხელახალი კომუნიკაცია საზოგადოებასთან.

ამ კონცეფციის უკეთესად გასააზრებლად, საჭიროა განვმარტოთ, პირველ რიგში, ის თუ ვინ არის საჯარო სექტორი (Public). საჯარო სექტორს მნიშვნელოვანი როლი აქვს ქალაქდაგეგმარების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის გაზრდისთვის, მათ უნდა შესთავაზონ მოქალაქეებს გამჭირვალე და ეფექტური მექანიზმები. ეს სექტორი კერძო და სამოქალაქო სექტორთან შედარებით უფრო ჰეტეროგენურია.

კერძო სექტორი (Private) ქალაქდაგეგმარების პროცესში სხვადასხვა მიზნებისთვის ერთვება. მან შესაძლოა ზოგიერთ შემთხვევაში დიდი პრინციპულობა გამოიჩინოს, ზოგჯერ კი, სერიოზულ დათმობებზე წავიდეს. კერძო სექტორში შესაძლოა ვიგულისხმოთ ბიზნეს კორპორაციები, მცირე და საშუალო ბიზნესი, მიწის მფლობელები, ბიზნესმენტა გაერთიანებები, “დეველოპერი გამყიდველები“(Developer sellers) და „დეველოპერი ინვესტორები“ (Developer investors), რომელთაც კომუნიკაცია აქვთ მეიჯარეებთან და ა.შ.

რაც შეეხება ხალხს (People) აქ კონცეფცია მოიაზრებს მთლიან მოქალაქეებს, საზოგადოებას (General Public), მოქალაქეებს სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური ჯგუფების წარმომადგენლებს (Local community), ე.წ „ლენდ იუზერებს“, არასამთავრობო ორგანიზაციებს (NGOs), სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს.

ბუნებრივია, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში თანამონაწილეობითი დაგეგმარების ეს ზოგადი ეტაპები სხვადასხვა მექანიზმებთან შედარებით განსხვავებულად აისახება. თუმცა, მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეტაპებსა და მექანიზმების არსზე მეტად მნიშვნელოვანია ის თუ, რა როგორი პოლიტიკური და სოციალური სიტუაციაა ქვეყანაში.

თანამონაწილეობითი დაგეგმარებისას აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობა და ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია. ქალაქდაგეგმარების პროცესში, არამხოლოდ ადგილობრივი, ასევე გლობალური ძალებიც ერთვებიან (Kedogo, Sandholz, & Hamhaber, 2010). ამ კონცეფციაში გამოკვეთილია გლობალიზაციის როლს თანამედროვე ქალაქების დაგეგმვის პროცესში, და ხაზს უსვამენ რომ დღეს ქალაქდაგეგმარება უფრო ქსეულურია (network-based), ვიდრე იერარქიული (Kedogo, Sandholz, & Hamhaber, 2010, გვ. 1-3). მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნაც, რომ დროთა განმავლობაში ქალაქდაგეგმარების პარადიგმამ წლებთან ერთად აქტორების „დამატებით ჩართვის“ საჭიროება დაგვანახა. 1950 წლიდან, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდია, იწყება ახალი ქალაქების მშენებლობა და განახლება. ამ პერიოდში, ძირითადად ვხედავთ მხოლოდ ერთ აქტორს - სახელმწიფოს, რომელიც პირდაპირი თუ ირიბი გზებით თავად მონაწილეობს ახალი ქალაქების მშენებლობაში.

1960 წლები უკვე მოდერნიზაციის პერიოდად ხასიათდება, სადაც იწყება საზოგადოების საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ამ პერიოდში იკვეთება კეთილდღეობის სახელმწიფოს ნიშნები. სახელმწიფო გვევლიება უკვე, როგორც მხოლოდ მგეგმავი. თუმცა 1970-იანი წლების ეკონომიკური კრიზისი ფონზე, ხელისუფლება უკვე „საჭიროებს“ სხვა აქტორების ჩართვას. საერთაშორისო ორგანიზაციები, სახელმწიფოსთან და სხვა ბენეფიციარებთან ერთად იწყებენ ქალაქების მშენებლობას, თუმცა ეს ჩართულობა გამოიხატება მხოლოდ ფინანსური თვალსაზრისით და სახელმწიფო კვლავ ერთადერთი აქტორია, იმ თვალსაზრისით, რომ ის განსაზღვრავს ქალაქისთვის ძირითად საჭიროებებს.

1980-იანი წლებიდან ნეოლიბერალიზმისა და თავისუფალი ბაზრის ქოლგის ქვეშ, ჩვენ ვხედავთ კერძო სექტორის, სამოქალაქო საზოგადოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობას, ისინი უკვე გამოკვეთილი აქტორები არიან, სახელმწიფოს როლი კი ამ პროცესში მხოლოდ ამ აქტორების ორგანიზებული ჩართვის უზრუნველყოფაა (სახელმწიფო - enabler (Kedogo, Sandholz, & Hamhaber, 2010, გვ. 3)).

1990 წლიდან გლობალიზაცია და მდგრადი განვითარების კონცეფცია ჩნდება ასპარეზზე და აქტორებად გვევლინება, უკვე თანაბრად საჯარო-კერძო-სამოქალაქო სექტორი, საერთაშორისო და აადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.

2000 წლიდან თანამონაწილეობითი დაგეგმარების კონცეფციას ემატება კარგი მმართველობის (Good Governance) პარადიგმა და სახელმწიფო ამ პროცესში რთავს ყველა რელევანტურ აქტორს. სწორედ აქ არის განსხვავება სხვა წლებთან შედარებით, 2000 წლიდან ჩვენ ქალაქდაგეგმარებაში არ ვხედავთ რაიმე შეზღუდვებს აქტორების ჩართულობის მხრივ, ჩართულია ყველა ის აქტორი, რომელიც რელევანტურია აღნიშნულ პროცესთან მიმართებაში. რელევანტურობა ბუნებრივია არ განისაზღვრება სახელმწიფოს მიერ (Kedogo, Sandholz, & Hamhaber, 2010).

დროთაგანმავლობაში ევროპაში და განსაკუთრებით, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების პრაქტიკებზე დაყრდნობით მეცნიერთა ნაწილში გამოიკვეთა შეხედულება, რომ საჯარო სექტორს ქალაქდაგეგმარების პროცესში მხოლოდ ფორმალური აქტორის როლი აქვს და იგი გვევლინება მხოლოდ როგორც აღმსრულებელი. (Hansen & Sandkjær, 2011). მხოლოდ მანდატის მქონე აქტორად გვევლინება საჯარო სექტორი სხვა კვლევებშიც. მეცნიერთა გარკვეული ჯგუფის აზრით, ანგლო საქსური ან ნეოლიბერალური დოქტრინები უწყობს ხელს თანამონაწილეობით დაგეგმარებაში კერძო სექტორის ჩართულობას და სახელმწიფოს როლის დაკნინებას (Heurkens, 2009 ).

ნიდერლანდების სამეფოს სამი ქალაქის მაგალითზე, პროფესორი ჰერკენსი წერს, რომ ამსტერდამში, როტერდამსა და დელტფში კერძო სექტორთან ერთად ჩანს მოქალაქეების, სამეზობლოების, ე.წ თემის ჩართულობა კონკრეტული ინიციატივის დაგეგმვისას. თუმცა ავტორი ხაზს უსვამს იმას, რომ მთავარი მექანიზმი, რომელიც შედეგიან თანამონაწილეობას მოუტანს ქალაქს, სწორედ საჯარო სექტორის მიერ უნდა იყოს შემუშავებული და აქტორთა ერთგვარი „დაწინაურება“ საჯარო პოლიტიკის მიერ უნდა მანევრირდებოდეს.

ამ შემთხვევაში საჯარო სექტორის როლი, როგორც „ძალის არმქონე“ აქტორის, მხოლოდ ფორმალურია. თუმცა, დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში არსებობს მთავრობის ნება და მზაობა, უფლებამოსილი გახადოს მოქალაქე, ჩაერთოს ქვეყნის პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და განხორციელების პროცესებში. თუმცა, თავად მოქალაქესაც უნდა ჰქონდეს ამის მზაობა, აცნობიერებდეს ჩართვის აუცილებლობას, ხედავდეს საკუთარ პიროვნულ და საზოგადოებრივ სარგებელს. სოციალური უთანასწორობისა და ეკონომიკური არასტაბილურობის ფონზე საზოგადოებრივი მოწყობის ნებისმიერი სფერო მნიშვნელოვან ცვლილებებს განიცდის. ამ მოვლენებს თან ერთვის გლობალიზაცია და მისი თანმდევი

პროცესები. ბუნებრივია, რომ ამ ცვლილებებს არ ჩამორჩა ქალაქდაგეგმარება (Kohon, 2015). მოსახლეობას, რომელსაც რთული ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა აქვს უჭირს დროის გამონახვა ჩაერთოს ქალაქდაგეგმარებაში და თავის მხრივ, ხელისუფლებამ, რომელსაც სახელმწიფოსთვის კოლოსალური მნიშვნელობის (თავდაცვა, ეკონომიკური სტაგნაცია, შიდა თუ საგარეო პოლიტიკური დაძაბულობა) პრობლემები აქვს მოსაგვარებელი, რთულია უხარვეზო ჩართულობის მექანიზმი შემოგთავაზოს (Kohon, 2015).

თანამონაწილეობის პროცესის მთავარი ეტაპია საპროექტო გეგმარების შემუშავება და დოკუმენტაციის წარდგენა პროცესში ჩართული ყველა აქტორისთვის. წარდგენის შემდეგ იწყება დამტკიცება-შეფასების პროცედურები (Özlem Özer-Kemppainen, 2010). ამდენად, ჩართულობის ერთ მექანიზმში შესაძლოა რამდენიმე მეთოდის გამოყენება, რომელიც მუდმივ კომუნიკაციაზე დაფუძნებული და მოიცავს ყველა ეტაპზე, როგორც ერთდროულ, ისე ცალ-ცალკე შეხვედრებს აქტორებთან, საერთო საჭიროებებისა და მოთხოვნების გამოკვეთას, განსხვავებულების გაერთიანებას (Özlem Özer-Kemppainen, 2010). ასეთი მეთოდები შეიძლება იყოს ე.წ. „ვორკშოპების“ ფორმატი, ე.წ. „ბრენსტორმინგი,“ და ახალი ინოვაციური მეთოდი ე.წ. „ვირტუალური ტური“ (Özlem Özer-Kemppainen, 2010), რაც გულისხმობს სამომავლო სცენარის გაზიარებას, სადაც ნახულია აქტორებისთვის სასარგებლო პერსპექტივები კონკრეტული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ.

თანამონაწილეობითი დაგეგმარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა ის არის, რომ მოქალაქეების მიდგომა ქალაქდაგეგმარების პროცესისადმი დროთაგანმავლობაში შესაძლოა გახდეს ნიჰილისტური. ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ამ პერსპექტივიდან არამხოლოდ სახელმწიფოს ნაკლები ინიციატივებია - ჩართოს საზოგადოება ან გაატაროს პრაქტიკაში მის მიერ წამოყენებული ინიციატივები, არამედ ის აქტორებია, რომელთა ერთადაც მოქალაქეებს უწევთ საკუთარი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დღის წესრიგში დაყენება.

თანამონაწილეობითი ქალაქდაგეგმარების კვლევამ ეგვიპტეში და სამხრეთ აფრიკის სხვადასხვა ქალაქების მაგალითზე აჩვენა, რომ სოციალურად დაბალი ფენების მონაწილეობა ურბანულ დაგეგმარებაში ფაქტობრივად არ არსებობს. ეს კვლევები ეყრდნობოდა სიღრმისეულ ინტერვიუებს ქალაქის გარეუბნებში მცხოვრები მოქალაქეებთან, ჰელენის უნივერსიტეტის (ეგვიპტე) პროფესორის, ეიმან ნოურის პუბლიკაციაში სახელმწიფო წარმოდგენილია, როგორც მოხალისე, რომელიც მოქალაქეებს „სახლიდან გაუსვლელად“ რთავს მონაწილეობის პროცესში.

რაც გულისხმობს, საცხოვრებელ ადგილებში მოქალაქეების ნებართვისა და სურვილის გათვალისწინებით მათი აზრისა და საჭიროებების მოსმენას (Nour, 2011).

ამ პარადიგმაში ხაზგასმულია, რომ ყველაზე მეტად გათვალისწინებული უნდა იყოს სოციალურად დაბალი ფენის წარმომადგენლების ინტერესები, რადგან მათი ინტერესების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ამ ფენის მდგომარეობის გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს ქალაქის საშუალო ფენის რაოდენობის ზრდას (Nour, 2011). თუ ამ ფენის ინტერესები არ იქნება გათვალისწინებული ისინი უფრო დაბალი ფენის წარმომადგენლები გახდებიან, როგორ მივიდეთ სოციალური დიალოგამდე?! ავტორები წერენ, რომ საზოგადოება მხოლოდ მაშინაა აქტიური, როდესაც ადამიანები თავისი საცხოვრებელი პირობებით არიან კმაყოფილნი (Ng, Li, & Wong, 2012).

### **კვლევის მეთოდოლოგია**

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები. კვლევის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაანალიზდა მეორეული წყაროები, კვლევები მოქალაქეთა ჩართულობისა და თანამონაწილეობითი დაგეგმარების შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურის საფუძველზე გაანალიზდა თანამონაწილეობითი დაგეგმარების მთავარი კომპონენტები, რაც გულისხმობს თანამონაწილეობითი დაგეგმარებისთვის ჩართულობითი მექანიზმების შემუშავების პროცესს, მექანიზმში სხვადასხვა აქტორის ჩართვის, აქტორებს შორის კომუნიკაციის, კოორდინაციის, სახლემწიფოს მხრიდან დელიბერაციის, გადაწყვეტილების მიღებისა და ანგარიშვალდებულების პროცესებს. სამეცნიერო ნაშრომები გაანალიზდა კრიტიკულად და წარმოდგენილი იყო ის პრობლემები და საშიშროებები, რომლებიც შესაძლოა არსებობდეს მოქალაქეთა ჩართულობის პროცესში.

კვლევაში წარმოდგენილია არსებული კანონმდებლობისა და თბილისის განვითარების ახალი გენერალური გეგმის კონტენტ ანალიზი.. მათი მიმოხილვით გაანალიზდა ის საკანონმდებლო მზაობა, რაც ქვეყანაში არსებობს ჩართულობითი მექანიზმის შესაქმნელად და ფუნქციონირებისთვის.

კვლევის პროცესში ქალაქ თბილისის ათივე გამგეობებიდან გამოთხოვილი იქნა სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმები. კვლევის პერიოდად აღებულია 2016-2018 წლები, ვინაიდან საბჭოს შესახებ კოდექსში ცვლილება 2015 წლის აგვისტოს იქნა მიღებული.

ქ. თბილისის ქალაქდაგეგმარების პროცესში, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირების სრული სურათის გასაცნობად საჭირო იყო ათივე გამგეობის ოქმების გაცნობა. ოქმებში ასახულია სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შეხვედრის თარიღები, მოქალაქეებისა თუ სხვადასხვა აქტორების მიერ წარდგენილი ინიციატივები და რეკომენდაციები, ასევე გამგებლის ან გამგეობის წარმომადგენლის მხრიდან, გაწერილი, უკვე განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი, განუხორციელებელი პროექტების შემთხვევაში ახსნილია მიზეზები, თუ რატომ არ იქნა კონკრეტული ინიციატივა გათვალისწინებული.

ამდენად, მნიშვნელოვანია ოქმების გაცნობა, რადგან ისინი იძლევა იმის საშუალებას, რომ გაირკვეს, თუ რა სახის ინიციატივები ჟღერდებოდა მოქალაქეების და სხვადასხვა აქტორების მხრიდან, იყო თუ არა ეს ინიციატივები და კონკრეტულად, რომელი ინიციატივები (ან რომელი აქტორების მიერ ინიცირებული) გამგეობების მხრიდან განხორციელებული და რეკომენდაციები გათვალისწინებული (2016-2018 წლებში), როგორ მიმდინარეობდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ხომ არ ითვალისწინებდა გამგეობა მხოლოდ ერთი აქტორის რეკომენდაციებს, რამდენად ერთვებოდნენ ექსპერტები ინიციატივების შემუშავების პროცესში, რამდენად იყო გარემო მზად ჯანსაღი დისკუსიისთვის და რა პრობლემები არსებობს საბჭოს ფუნქციონირებაში.

ნახევრადსტრუქტურირებული ინტევიუ ჩატარდება ათივე გამგეობის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან) გაანალიზდება საბჭოს წევრების უარყოფითი და დადებითი შეხედულებები/მოლოდინები/ საბჭოს ფუნქციონირების შესახებ. ასევე გამოიკვეთება, მათი შეხედულებები იმ შემთხვევებზე, როცა დაიბლოკა ან გათვალისწინებული იქნა მათი ინიციატივა, საინტერესო იქნება მათი შეხედულებებისა და დამოკიდებულებების გაცნობა, ზოგადად მოქალაქეთა ჩართულობის შესახებ და როგორ ხედავენ სახელმწიფოს როლს ამ პროცესში.

ელექტრონული კითხვარი გადაეგზავნა ქ. თბილისის ათივე გამგეობის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საიდანაც უნდა დაბრუნდა თითო პასუხი (სულ 10 წარმომადგენლის პასუხი), რათა მოხდეს ინფორმაციის მიღება იმის შესახებ, თუ რა სახის საინფორმაციო ღონისძიებები იქნა გატარებული გამგეობების მხრიდან მოქალაქეებში, რამდენად დიდი იყო დაინტერესება საზოგადოების მხრიდან ჩართულობისთვის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

საქმიანობაში, რომელი საკომუნიკაციო საშუალებები გამოიყენეს მოქალაქეების ინფორმირებულობისთვის.

კვლევის პროცესში გამოიკითხა 3 საერთაშორისო ექსპერტი. გერმანიაში Hannover University-ის ასისტენტ პროფესორთან (რომელსაც აქვს საქართველოში მუნიციპალიტეტების დონეზე მუშაობის გამოცდილება), ერთი გერმანული და ერთი ფრანგული ურბანული კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, რომლებიც მოქალაქეთა ჩართულობის ეფექტიანობის გაზრდის გზებზე მუშაობენ.

პარალელურად, კვლევაში წარმოდგენილია ქართველი ექსპერტების (2 ექსპერტი) შეხედულებები მოსახლეობის ჩართულობითი მექანიზმების შესახებ ინფორმირებულობის კუთხით არსებული პრობლემების შესახებ. ორი ექსპერტიდან, ერთი ურბანისტიკა და ერთი პოლიტიკის მეცნიერი.

ნაშრომში გაანალიზებულია სიღრმისეული ინტერვიუებისა და კითხვარების საშუალებით მიღებული პასუხები და შედარებულია, როგორც სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრების და საჯარო მოხელეების შეხედულებები საბჭოს მექანიზმის ფუნქციონირების შესახებ. ასევე, გამოკვეთილია, ქართველი და უცხოელი ექსპერტების მიერ დასმული პრობლემური საკითხები.

მოქალაქეთა მონაწილეობისა და ანგარიშვალდებულების შეფასება ხდება გამგეობებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის ანალიზის გზითა და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკით ოქმების ანალიზის საშუალებით. ასევე, სიღრმისეული ინტერვიუების მეშვეობით სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრებთან (ერთი წევრი-ერთი გამგეობიდან).

რესპონდენტების მოძიებისათვის გამოყენებულია, როგორც პირადი კონტაქტები, ისე ე.წ. „თოვლის გუნდის“ პრინციპი. ინტერვიუს ჩატარების შემდეგ რესპონდენტის რჩევით ხდებოდა დაკავშირება კომპეტენტურ პირთან.


კვლევის პროცესში თანხვედრა იყო გარკვეულ შეზღუდვებთან, რადგან კვლევა არის კომპლექსური ხასიათის საჭიროების საკითხის მრავალმხრივ შესწავლას. კვლევის შეზღუდვას რამდენიმე ფაქტორი განაპირობებდა, მათ შორის უმთავრესი იყო, ის რომ ზოგიერთ გამგეობაში საერთოდ არ უფუნქციონერია საბჭოს და შესაბამისად, ამ გამგეობის მასშტაბით კვლევა ვერ ჩატარდა.

## შედეგები/ დისკუსია/ დასკვნა

10 გამგეობიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაციის საფუძველზე, მხოლოდ 6 მათგანშია წარმოდგენილი სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება და წევრთა რაოდენობა. ეს გამგეობებია : ვაკე , გლდანი, ისანი, კრწანისი, მთაწმინდა, საბურთალო, დიდუბე.

ინფორმაციის საფუძველზე გამოიკვეთა,რომ 2016-2018 წლებში ქ. თბილისის გამგეობების სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გამართული სხდომების რაოდენობა ყველაზე მეტი 16 ჯერ არის საბურთალოს რაიონის გამგეობაში დაფიქსირებული. ჩატარებული სხდომების რაოდენობით,რიგით მეორე არის კრწანისის გამგეობა,მას მოჰყვება გლდანის რაიონის გამგეობა, მთაწმინდის რაიონისა და დიდუბის რაიონის გამგეობები. ხოლო ისანის, სამგორის, ჩუღურეთისა და ნაძალადევის რაიონში სავალდებულო მექანიზმის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომა საერთოდ არ ჩატარებულა

გრაფიკი I : სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს გამართული სხდომების რაოდენობა გამგეობების მიხედვით 2016-2018 წლებში




საბჭოს წევრთა და წევრებს შორის სხვადასხვა აქტორთა რაოდენობა გამგეობებში შემდეგნაირია : საბურთალოს რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში სულ 21 წევრი, აქედან მოქალაქეები 10, კერძო სექტორის წარმომადგენელი 2, მედიის 2 წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაციის 2 და 5 ექსპერტი ვაკის რაიონის გამგეობაში,სადაც სმს-წევრთა რაოდენობა ჯამში 18-ია, მოქალაქეთა რიცხვი ყველაზე მეტ 11 ადამიანს შეადგენს, კერძო სექტორი - 3 ; არასამთავრობო სექტორი -2 ; ექსპერტები - 2 წევრი. განსხვავებულია ამ მხრივ სიტუაცია გლდანის რაიონის გამგეობაში,სადაც წარმოდგენილია მხოლოდ მოქალაქეების, კერძო სექტორისა და ექსპერტის ჯგუფი. აქედან, მოქალაქეთა რიცხვია 10, კერძო სექტორის - 4 წევრი და 1 ექსპერტი. ისანის რაიონის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების ოქმში წერია,რომ საბჭოში სულ 15 წევრი იქნება, აქედან 6 ისანის რაიონის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეები, კერძო სექტორის 3 წარმომადგენელი, მედიის 1 წარმომადგენელი, არასამთავრობო ორგანიზაციიდან 3 წარმომადგენელი და 2 ექსპერტი. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში განსხვავებულ აქტორულ ჯგუფთა მრავალფეროვნება შეინიშნება კრწანისის რაიონის გამგეობაში. გამგეობია სმს წევრებიდან 9 მოქალაქეა, კერძო სექტორის 2 წარმომადგენელი და არასამთავრობო, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის თითო წარმომადგენელი. მოქალაქეებს შორის ეთნიკური უმცირესობის 3 წარმომადგენელია,რომლებმაც გამგეობამდე სხვა ეთნიკური უმცირესობების პრობლემები მიიტანეს და ერთი შშმ პირი,რომელმაც რამდენიმე ინფრასტრუქტურული ინიციატივა შეიმუშავა.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოში განსხვავებულ აქტორულ ჯგუფთა მრავალფეროვნება შეინიშნება კრწანისის რაიონის გამგეობაში. გამგეობია სმს წევრებიდან 9 მოქალაქეა, კერძო სექტორის 2 წარმომადგენელი და არასამთავრობო, მედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის თითო წარმომადგენელი. მოქალაქეებს შორის ეთნიკური უმცირესობის 3 წარმომადგენელია,რომლებმაც გამგეობამდე სხვა ეთნიკური უმცირესობების პრობლემები მიიტანეს და ერთი შშმ პირი,რომელმაც რამდენიმე ინფრასტრუქტურული ინიციატივა შეიმუშავა. გამგეობების 23% სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ საჯარო საინფორმაციო შეხვედრებს აწყობდა, ასევე 23% უპირატესობას სოციალური ქსელების გამოყენებას ანიჭებდა, 15% საინფორმაციო ბუკლეტის დარიგებას, ხოლო 19% ტელევიზიას იყენებდა კომუნიკაციისთვის. თუმცა საინტერესოა ის გარემოება,რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის წარმომადგენლები მიუხედავად უკვე გატარებული საინფორმაციო კამპანიებისა, აღნიშნავენ,რომ ამ ეტაპზე არ მიმდინარეობს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შესახებ

საინფორმაციო ღონისძიებები, რაც ჩანს კიდევ საბჭოს სხდომების რაოდენობაში, თუნდაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რადგან ზოგიერთი საბჭოს შემთხვევაში სხდომა 2016 წლის შემდეგ არ ჩატარებულა.

გრაფიკი II - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ოქმების საფუძველზე მიღებული მონაცემები (2016-2018 წლები) : მოქალაქეთა ინიციატივები, განხორციელებული პროექტები ;



გამგეობების წარმომადგენლების ხედვები ეფექტურ საკომუნიკაციო საშუალებებთან დაკავშირებით შემდეგნაირია : ვაკის, გლდანის და საბურთალოს რაიონის გამგეობა ყველაზე ეფექტურ საკომუნიკაციო საშუალებად სოციალურ ქსელს მიიჩნევს. კრწანისის რაიონის გამგეობისთვის, როგორც საჯარო შეხვედრები, ისე სოციალური ქსელი ერთნაირად მნიშვნელოვანია. ასევე გადაეზღვა გამგეობების წარმომადგენლებს, მათი უმრავლესობა ასახელებს, რომ ინიციატივების განხორციელებლობის მიზეზი არის გამგეობის მცირე ბიუჯეტი.

მიმართულება რაც პორტ-საბჭოთა ქვეყნების ტრანსფორმაციის ახსნისას აკადემიურ ნაშრომებში გამოიყენება: წინა სოციალისტური სისტემის გამოცდილება, არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა, პოსტ-კომუნისტური რეფორმების ბუნება, ისტორიული მემკვიდრეობა- გარკვეული რეჟიმის წევრობა (Pavlínek, 2003). აღნიშნულნი თეორიულ მიდგომებში ორ ჯგუფად თავსდება: (1) თეოლოგიკური „ტრანზიცია“, უფრო ცნობილი როგორც ტრანზისტოლოგია (transitology) - მეტწილად ნეო-ლიბერალური და ნეო-კლასიკური ეკონომიკური მოდელების ინტერპრეტაცია. (2) არა-თეოლოგიკური მიდგომა- „ტრანსფორმაცია“, რომელიც უფრო მეტად გამომდინარეობს ევოლუციური და ინსტიტუციური ეკონომიკიდან (Pavlínek, 2003). ნაშრომის მიერ გამოყენებული ძირითადი თეორიული ჩარჩო ლევინსკისა და ვეის „ბერკეტები და კავშირები“ სწორედ ტრანზისტოლოგიის სტუქტურალისტურ თეორიულ სკოლას მიეკუთვნება.

პროფესორი სტევენ ლევინსკი და ლუკან ვეის თეორია დემოკრატიზაციის გზაზე მხოლოდ დასავლეთის გავლენას განიხილავს. მათი ახსნით დასავლეთის ზეგავლენა ვრცელდება სამიზნე ქვეყანაზე როგორც შედეგი ბერკეტებისა და კავშირების. ბერკეტები თავის მხრივ გაიგივებულია სამიზნე ქვეყნის მოწყვლადობასთან, რომელსაც გარე აქტორი იყენებს განსხვავებული გზებით, როგორცაა პოლიტიკური მდგომარეობა, სანქციები, დიპლომატიური წნეხი და სამხედრო ინტერვენცია. ლევინსკისა და ვეის ახსნით დასავლური ბერკეტი არის „ხარისხი რა ხარისხითაც მთავრობები არიან მოწყვლადნი საგარეო აქტორის დემოკრატიზაციის წნეხის მიმართ“ (Levitsky, and Way, 2006). ავტორები გვთავაზობენ კავშირების განსაზღვრის 5 მიმართულებას : ეკონომიკური კავშირები; გეოპოლიტიკური კავშირები; სოციალური კავშირები; კომუნიკაციური კავშირები და ტრანსნაციონალური სამოქალაქო კავშირები; მიუხედავად იმისა რომ ლევინსკი და ვეი თავიანთ ნაშრომში ყურადღებას ამახვილებენ დემოკრატიზაციის თვალსაზრისით ევროკავშირის ზეგავლენის გავრცელებას სწორედ ბერკეტებისა და კავშირების გავლით, მთავარი მინუსი ამ თეორიული მიდგომის გახლავთ ის რომ , ისინი ყურადღებას არ ამახვილებენ, მეორე გარე აქტორის როლზე, ამ შემთხვევაში რუსეთის ფაქტორზე. მამასადამე, თეორიის ნაკლოვანება დემოკრატიზაციის პროცესში მხოლოდ ხელშემწყობი აქტორის გაანალიზებაა და ყურადღების მიღმა ხელისშემშლელი აქტორის არსებობა.

რაც შეეხება, აღნიშნული თემის ჰიპოთეზის დაშვების მეორე მნიშვნელოვან ლიტერატურას, იგი ეყრდნობა იდეას ე.წ. „გეითქიფერ ელიტების“ შესახებ თეორიას. ზოგადი წარმოდგენა

„გეითქიფერ ელიტებზე“ მდგომარეობს შემდეგში, ისინი არიან მთავარი მედიატორები რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას რა ინფორმაცია შემოვა, ან არ შემოვა ქვეყანაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: გეითქიფერები იღებენ სოციალურ სისტემაში გადაწყვეტილებას რა განსაზღვრული პროდუქტი - მატერიალები, საქონელი ინფორმაცია, შემოვა სისტემის შიგნით.’ მნიშვნელოვანია, აგრეთვე გავანალიზოთ, რომ „გეითქიფერებს“ შესწევთ უნარი აკონტროლონ საზოგადოების ცნობიერება გარკვეული ინფორმაციების მიღების დაშვებით ან მათი უგულვებელყოფით. „გეითქიფერებს“ შეუძლიათ ასევე არეგულირონ ინფორმაციის შემოდინებასთან ერთად პოლიტიკური ზეგავლენის ხარისხი (Linz and Stepan, 1996) .“

პოლიტიკურის მეცნიერების ასოცირებული პროფესორის იაქობ ტოლსტრაფის მიერ შემუშავებული „გეითქიფერ ელიტის“ თეორია ერთგვარ გადახედვას წარმოადგენს ლევინსკისა და ვეის სტრუქტურული თეორიის (Tolstrup, 2012). ტოლსტრაფი განსაზღვრავს სამ ტიპს გეითქიფერებისა: პოლიტიკური ელიტა, ეკონომიკური ელიტა და სამოქალაქო ელიტა. გამიჯვნა ამ სამი ჯგუფისა არც თუ ისე მარტივია. მაგალითისთვის, მოლდოვას წარმატებული ბიზნეს ელიტა ყოველთვის ცდილობდა მოეპოვებინა პოლიტიკური ძალაუფლება, რათა მფარველობა გაეწიათ საკუთარი ბიზნესებისთვის. იგივე ხდება სამოქალაქო ელიტის შემთხვევაშიც. მაშასადამე, გასაკვირი არაა, თუ მთლიან ორიენტირს გავაკეთებთ პოლიტიკურ ელიტაზე, რომლებიც რეალურად ფლობენ ქვეყნის მართვის ბერკეტებს. მაშინ როცა ეკონომიკური ელიტა ან სამოქალაქო ელიტა დაიწყებს პირდაპირ ჩარევას პოლიტიკურ თამაშში, სახელმწიფო აპარატზე კორტოლის მოპოვებით ან მცდელობით დაიკავონ ძალა თანამდებობები, ისინი იწოდებიან როგორც პოლიტიკური ელიტა და არა როგორც ეკონომიკური ან სამოქალაქო ელიტა (Linz and Stepan, 1996). მაშასადამე, როცა ოლიგარქებს სხვადასხვა გუბერნიებში, ერთი მხრივ უკავიათ ბიზნეს ელიტის სადავეები, ხოლო მეორე მხრივ ფორმალურად თუ არაფორმალურად მმართველები არიან პოლიტიკური კლასის, ძნელია დიფერენციაცია მოახდინო პოლიტიკურ, ეკონომიკურ ან სამოქალაქო ელიტას შორის.

ქვეყნის დემოკრატიზაციის განხილვისას ტოლსტრაფი არ უარყოფს, „ბერკეტებისა და კავშირების“ მნიშვნელობას ქვეყნის დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის გზაზე, თუმცა დასძენს რომ „ბერკეტები და კავშირები“ არ არის გარდაუვალი მოცემულობა, და რომ „გეითქიფერ ელიტას“ შესწევს ძალა წამოიწყოს ახალი კავშირები სტრუქტურული ფაქტორების გათვალისწინების გარეშე, რაც ეწინააღმდეგება სტრუქტურული თეორიის მიმდევრებს,

რომელთა მოსაზრებით გეოგრაფია, ისტორია, ეკონომიკური კავშირები არიან განმსაზღვრელი ელემენტები ქვეყნის პრო/ანტი პოლიტიკის გატარებისას საგარეო აქტორის მიმართ. ტოლსტრაფი აღნიშნავს რომ კავშირები არ არიან განსაზღვრულნი ქვეყნის გეოგრაფიული, ისტორიული თუ კულტურული ელემენტებიდან გამომდინარე. მისი აზრით, გეითქიფერ ელიტას შეუძლია შექმნას ზემოაღნიშნული სრუქტურული წინაპირობებისგან დამოუკიდებელი გარემო.

თუკი ზემოაღნიშნული ავტორების ძირითად იდეას შევაჯამებთ მოლდოვას მაგალითზე, მივიღებთ შემდეგ სურათს: ლევინსკის და ვეის თეორიიდან გამომდინარე, ეკონომიკური კავშირები (ვაჭრობა, კრედიტები, ინვესტირება) არის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი საგარეო აქტორზე დამოკიდებულების, რომელიც არის მოცემულობა, ხოლო ტოლსტრაფისეული განმარტებით მმართველ ელიტას შესწევს ძალა, შეაკავოს გარე აქტორის ზეგავლენა და წამოიწყოს ახალი კავშირები განსხვავებულ აქტორებთან (Tolstrup, 2012). თუკი მოლდოვას დემოკრატიზაცია-ევროპეიზაციის გზას განვიხილავთ, როგორც საგარეო აქტორთა (ევროკავშირ-რუსეთის) ბერკეტებისა და კავშირების ჭიდილს, შევამჩნევთ რომ რუსეთის ხელთ არსებულმა ბერკეტებმა კარგად იმუშავა შეეჩერებინა ევროკავშირიდან წამოსული „ზეგავლენა“, თუმცა ნაშრომი ტოლსტრაფის მიერ შემუშავებულ გეითქიფერების თეორიას განიხილავს, როგორც ალტერნატიულ სცენარს მოლდოვაში, ძლიერი პროდასავლური პოლიტიკური ელიტის შემთხვევაში „ბერკეტებისა და კავშირების“ ევროკავშირის სასარგებლოდ წარსამართავად.

### **ევროპეიზაცია-დემოკრატიზაციის ლიტერატურის მიმოხილვა**

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც პოლიტიკური ამინდის ფორმირება და განვითარება მხოლოდ საკანონმდებლო- აღმასრულებელი ურთიერთობების ფორმაზე აღარ არის დამოკიდებული, ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის ტრადიციული კონცეპტუალიზაცია არსებული მნიშვნელოვანი სირთულეების გამო, შედარებით იშვიათად გამოიყენება (Munck and Verkuillen, 2002). მიუხედავად იმისა, რომ ერთი შეხედვით ადვილად დაასახელო ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის მთავარი ელემენტები, სინამდვილეში პრობლემას სწორედ ამ კომპონენტთა მრავალფეროვნება და კომპლექსურობა ქმნის. ავტორების აზრით, ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის გაზომვისთვის არსებული ინდექსების გაზომა კომპლექსური ხასიათისაა და შემთხვევაში ყურადღებას ამახვილებენ მათ ნაკლოვანებებზე, რაც გულისხმობს ინდიკატორების სიმწირეს ან გადაჭარბებულ რაოდენობას (Coppedge, 2017).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ლევიცკისა და ვეის ნაშრომის მიხედვით დემოკრატიზაციაზე და ევროკავშირში ინტეგრაციაზე გავლენა აქვთ ისეთ მნიშვნელოვან ფაქტორებს, როგორებიცაა ისტორიული და გეოგრაფიული სიახლოვე. ამ თემაზე შექმნილი პუბლიკაციების ძირითად ნაწილი თანხმდება, რომ დემოკრატიზაციაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ნობელიტეტისა და ბურჟუაზიის ურთიერთობათა დინამიკა. გერმანიისა და ინგლისის მაგალითზე დაკვირვებით დგინდება, რომ ძლიერი ბურჟუაზია პირდაპირ კავშირშია დემოკრატიის ჩამოყალიბებასა და მდგრადობასთან (Moore, 1966).

მნიშვნელოვანია აგრეთვე ყურადღება გამახვილდეს დემოკრატიის ხელშეწყობის ინსტრუმენტებზე. მოცემული საკითხის განხილვა ავტორების მიერ ხდება ძირითადად ურთიერთდამოკიდებულების თეორიულ ჭრილში. თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში, სადაც სახელმწიფოები მუდმივ ურთიერთქმედებაში არიან, ადგილი აქვს ე.წ. დიფუზიის ეფექტს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვნად ზრდის კიდევაც დემოკრატიის ხარისხს (Starr, 1991).

რაც შეეხება უშუალოდ რუსეთის ფაქტორს მოლდოვის ევროპეიზაციასთან დაკავშირებით, ავტორები ერთპიროვნულად თანხმდებიან, რომ რუსეთისათვის პოსტსაბჭოთა ქვეყნების ევროპეიზაცია საკმაოდ დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს რუსეთისათვის რეგიონში პოლიტიკური დომინირების კუთხით (Del Medico, 2014). საგულისხმოა, რომ რუსეთი აქტიურად ცდილობს, მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი პოლიტიკური ბერკეტი, გავლენის გასაზრდელად და ევროკავშირის დასაბალანსებლად (Gower & Timmins, 2009). თუმცა, აქვე მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას ლიტერატურის სიმწირეს უშუალოდ ევროკავშირისა და რუსეთის გავლენების შედარების კუთხით. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური ნაშრომების უმეტესობა დაწვრილებით ანალიზებს როგორც ევროკავშირის გავლენას აღმ. პარტნიორობის ქვეყნებზე, აგრეთვე რუსეთის პოლიტიკას, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორი ფაქტორის სინთეზური ანალიზი საკმაოდ იშვიათია. ლიტერატურის შესწავლის შედეგად შესაძლოა ითქვას, რომ დემოკრატიის ხელშეწყობა საკმაოდ კარგად არის შესწავლილი აკადემიურ სფეროში. განხილულია მოდელები და ინსტრუმენტები, რომლებიც თავის დროზე წარმატებულად იქნა გამოყენებული თავად ევროკავშირის მიერ. თუმცა აქვე უნდა აღნიშნოს, რომ შესამჩნევად მწირია უშუალოდ პოსტ საბჭოთა ქვეყნების/აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამისადმი მიძღვნილი ლიტერატურა,

რომელიც ჩაეძიებოდა იმ გარეშე ფაქტორებს, რომლებიც განაპირობებენ მოლდოვას ევროპეიზაციისა და დემოკრატიზაციის დაჩქარებას ან პირიქით, შენელებას.

## **მეთოდოლოგია**


სტატია ეყრდნობა პროფესორი სტევენ ლევიცკისა და ლუკან ვეის მიერ შემუშავებული თეორიული მიდგომების ინდიკატორებს, რომელიც თავის მხრივ შეიძლება დავაჯგუფოდ როგორც ეკონომიკურ ჭრილში, ასევე პოლიტიკურ ჭრილში (Lebanidze, 2019). ავტორები გვთავაზობენ კავშირების მიმართულებებს მაგალითად: სავაჭრო ბრუნვა, ფულადი გზავნილები, გეოპოლიტიკური კავშირები, სოციალური კავშირები (მიგრაციის მაჩვენებელი) და ა.შ. (Levitsky and Way, 2006). ამ ინდიკატორებზე დაყრდნობით შემუშავებული ცხრილი განსაზღვრავს ინტეგრაციის სავარაუდო ხარისხს. საბოლოო ინტეგრაციის ხარისხის მისაღებად, წინასწარ ირჩევა რაოდენობრივი და ხარისხობრივი ინდიკატორები, ხდება მათი ანალიზი, ფასდება 0-დან 2 ქულამდე ფასდება თითოეული ინდიკატორის რანგი და საბოლოო აგრეგაციის მეშვეობით მიიღება ინტეგრაციის დონის საერთო სურათი (Lebanidze, 2019). კვლევის მიხედვით აღნიშნული მიდგომა, გამოიყენება, როგორც ევროკავშირის, ასევე რუსეთის მაგალითზე. შესაბამისად, მოლდოვას მაგალითზე რეგიონის ორი საპირისპირო აქტორის შედარებით, კვლევა წარმოაჩენს ევროინტეგრაციის გზაზე ხელისშემშლელ აქტორთან დაახლოების პოლიტიკურ და ეკონომიკურ განზომილებას.

## **მოლდოვას სტრუქტურული კავშირები (მისი ეკონომიკური ინტეგრაციის დონე) ევროკავშირთან და რუსეთთან (დსთ-ს ქვეყნებთან)**

მოლდოვას ეკონომიკური დამოკიდებულების დასადგენად, გამოიყოფა კლასიკური ინდიკატორები, რომლებიც მოიცავს ექსპორტს, იმპორტს, ფულად გზავნილებსა და პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს. ეკონომიკური ინდიკატორები მოლდოვას მაგალითზე გაზომილია ორი ჯგუფის ევროკავშირისა და დსთ-ს (სადაც წამყვანი ადგილი რუსეთს უკავია) ფარგლებში. აღნიშნული დაყოფა, გამომდინარეობდა ევროკავშირის, როგორც 29 სახელმწიფოს გაერთიანების არარაციონალურ შედარებასთან მხოლოდ რუსეთის ფედერაციასთან მიმართებით. შესაბამისად, კვლევა ეკონომიკურ ფაქტორებს ზომავს ევროკავშირისა და დსთ-ს შედარების საფუძველზე.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის შექმნის შემდეგ ევროკავშირთან მოლდოვას სავაჭრო ურთიერთობები სულ უფრო მზარდი ტემპით ხასიათდება. მოლდოვას ექსპორტი 2016-2018 წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა სწორედ ევროკავშირის მიმართულებით. 2018 წლის მონაცემებით ევროკავშირთან ექსპორტი მთლიანი ექსპორტით 68% შეადგენს, მაშინ როდესაც იგივე ინდიკატორი დსთ-ს ქვეყნებთან მხოლოდ 29%-ს უდრის. (იხილეთ გრაფიკი1).

External trade by Indicators, Groups of countries and Years




გრაფიკი 1. საგარეო ვაჭრობა ქვეყნების ჯგუფისა და წლების მიხედვით (ექსპორტი)

რაც შეეხება იმპორტს, ამ მხრივაც ევროკავშირი უპირობო ლიდერია. მოლდოვას მთლიანი იმპორტის 49% ევროკავშირზე მოდის. აგრეთვე ნიშანდობლივია, რომ 2009 წლიდან მოყოლებული იმპორტის დონე ცვალებადია, 2015 წელს მან სერიოზული კლება განიცადა, ხოლო 2015 წლიდან მოყოლებული ეტაპობრივად იზრდება (იხილეთ გრაფიკი2 (National bureau of Statistics of Moldova, Import, 2019). აღსანიშნავია, რომ ზრდის ტემპი ახასიათებს აგრეთვე დსთ-ს ქვეყნების ჯგუფსაც, რომელიც 2015 წლიდან მოყოლებული 2018 წლამდე ეტაპობრივი ზრდით ხასიათდება (მირითადად რუსეთის ხარჯზე).

გრაფიკი 2. საგარეო ვაჭრობა ქვეყნების ჯგუფისა და წლების მიხედვით (იმპორტი)

External trade by Indicators, Groups of countries and Years




რაც შეეხება ფულად გზავნილებს, აღნიშნული ქვემომართულებაც ეკონომიკური დამოკიდებულების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. ქვეყნიდან მოლდოვაში ფულადი გზავნილების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რომ 2019 წელს ისევე, როგორც გასულ წლებში, ევროკავშირიდან ფულადი გზავნილები მთლიანი გზავნილების 40%-ს შეადგენს, მაშინ როდესაც დსთ-ს ქვეყნების ჯგუფიდან (უპირატესობა უპირობოდ რუსეთიდან) 25 % მოდის. ბოლო ნოემბრის თვის სტატისტიკიდან კი იკვეთება რომ ევროკავშირიდან ფულადი გზავნილები 50% გაუთანაბრდა, ხოლო დსთ-დან კი 21%. (იხილეთ გრაფიკი 3). ეკონომიკური ინდიკატორების კიდევ ერთ სახეს წარმოადგენს უცხოური ინვესტიციები, მოლდოვას სახელმწიფო ახალი ამბების სააგენტოს მონაცემებით, 2018 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 80% -ზე მეტი მოლდოვაში ევროკავშირისგან მოდის. ინვესტორები დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობის ქვეყნიდან შეადგენენ მხოლოდ 6% -ს (Agenția Informațională de Stat, 2018).

ეკონომიკურ ინდიკატორებზე დაყრდნობით, ფაქტია, რომ მოლდოვას ეკონომიკური ინტეგრაცია ევროკავშირთან მაღალია. შესაბამისად შესავალშივე გაჟღერებული დაშვება, რომ ეკონომიკური სტრუქტურული ფაქტორების სიახლოვე ევროკავშირთან, ინტეგრაციის მნიშვნელოვან ინდიკატორს წარმოადგენს, თუმცა მხოლოდ საკუთრივ მასთან სიახლოვე არ განსაზღვრავს სრულად ინტეგრაციის დონეს მტკიცდება. ამის დასტურია, დაკვირვების მნიშვნელოვანი შედეგაც, რომლის მიხედვითაც, მიუხედავად ეკონომიკური დამოკიდებულებისა ევროკავშირზე, ბიზნეს სექტორი, რომელიც პირდაპირ სარგებელს

ნახულობს ევროკავშირიდან სრულებით არ ცდილობენ, ევროპეიზაციის პროცესის წახალისებას ან მის მხარდაჭერას თუნდაც მესიჯების დონეზე (Pagun, S., Ghiletschi, S., 2018). შესაბამისად, შესაძლებელია ევროკავშირის ცალკეული ჯგუფებისთვის უკიდურეს მოგება მოჰქონდეს, მაგრამ მათი დამოკიდებულება ევროკავშირისადმი არ ატარებდეს პოზიტიურ ხასიათს. საგულისხმოა, რომ მოლდოვას ყოველწლიური რიპორტის მიხედვით, მოლდოველი მოქალაქეების 79% იცის, ევროკავშირის ეკონომიკური დახმარებისა და ევროკავშირის როლის შესახებ, თუმცა ვერ ხედავს მის ეფექტიანობას (Annyal Survey Report: Modlova 2019), რაც უარყოფით გავლენას ახდენს საზოგადოების განწყობებზე.

როგორც ინდიკატორების ანალიზმა გვიჩვენა, მოლდოვას დამოკიდებულება ევროკავშირისადმი ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ მაღალია, თუმცა რეგიონის მეორე აქტორის (რუსეთის) ბერკეტებიც მზარდი ტენდენციის ხასიათს ატარებს, რაც ქვეყნის შიგნით გეითქიფერების განწყობებზეც აისახება.

გრაფიკი 3. ფულადი გზავნილები მოლდოვაში, ნოემბრის თვის სტატისტიკა (მოლდოვას ეროვნული ბანკი, 2019).



„გეითქიფერ ელიტა“ – მოლდოვაში მიმინარე პოლიტიკური პროცესები

მოლდოვას ევროინტეგრაციის ხარისხი არამხოლოდ ეკონომიკური კავშირების მეშვეობით, არამედ პოლიტიკურ ჭრილის გაანალიზებით უნდა განვიხილოთ. პოლიტიკური განზომილება მოიცავს უსაფრთხოების, სამხედრო და პოლიტიკურ სფეროებს (ლებანიძე და გრიგალაშვილი, 2018). ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბოლო ერთი წლის მანძილზე განვითარებული მოვლენების მიმოხილვა. 2019 წლის 8 ივნისს, იგორ დოდონის პრორუსული „სოციალისტური პარტია“ და მემარცხენე პროევროპული ბლოკი „ACUM“-ი, სამთავრობო კოალიციის შექმნაზე შეთანხმდნენ (Reuters, June,8, 2019). მათ, მთავრობაში წარმოდგენილი „დემოკრატიული პარტიის“ ლიდერის ვლადიმერ პლაჰოტნიუკის საწინააღმდეგოდ „დროებით შეთანხმებას“ მოაწერეს ხელი. პარლამენტის საგანგებო სხდომაზე, რომელსაც ახლადშექმნილი კოალიციის დეპუტატები ესწრებოდნენ, პრემიერ-მინისტრის პოსტზე არჩეულ იქნა პროევროპულ ბლოკში შემავალი „მოქმედებისა და სოლიდარობის პარტიის“ (PAS) კანდიდატი - მაია სანდუ, ხოლო პარლამენტის თავმჯდომარედ კი - „სოციალისტური პარტიის“ ლიდერი - ზინაიდა გრეჩანი (Radio Free Europe, June, 2019). გამომდინარე პოლიტიკური და იდეოლოგიური სხვაობისა, კოალიციის სრული შეჯერება ვერ მოხერხდა, რამაც ხელახალი კრიზისისკენ წაიყვანა მოლდოვა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული კოალიციის ფორმირებაში დიდი წვლილი შეიტანა როგორც რუსეთის, ასევე ევროკავშირის წარმომადგენლებმაც. ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში, ფედერიკა მოგერინი და აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა მოლდოვის კოალიციურ მთავრობას მხარდაჭერას გამოუცხადეს. მოგვიანებით, ანალოგიური პათოსით საერთო განცხადება გაავრცელეს გერმანიამ, საფრანგეთმა, დიდმა ბრიტანეთმა, პოლონეთმა და შვედეთმა. აღსანიშნავია, სამთავრობო კოალიციის შექმნაზე მოლაპარაკების დაწყებამდე ერთი დღით ადრე, კიშინიოვს ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოებაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი (European Commission, 2019) აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის აღმოსავლეთ ევროპის ოფისის დირექტორი ბრედ ფრიდენი და რუსეთის ვიცე-პრემიერი, დიმიტრი კოზაკი სტუმრობდნენ. ვიზიტების შესახებ, ოფიციალური ინფორმაცია ღია წყაროებში არ გავრცელებულა.

სწორედ აღნიშნული პროცესების ფონზე გაჟღერდა პროცესებამდე წინმსწრები კიდევ ერთი შესაძლო კოალიციის პლაჰოტნიუკისა და დოდონის მოლაპარაკებების მთავარი აქცენტები. იგორ დოდონი ვლადიმერ პლაჰოტნიუკს საპარლამენტო კოალიციის შექმნის წინაპირობად, მოლდოვის ფედერაციული მოწყობის მხარდაჭერას უყენებდა. აღნიშნულ ფაქტს,

მხარეების მხრიდან ურთიერთსაწინააღმდეგო განცხადებები მოჰყვა. პლაჰოტნიუკის პარტიის განმარტებით, „ფედერალიზაციის“ იდეის განხორციელება ღიად რუსულ სცენარს წარმოადგენს და სწორედ ამის გამო, ვერ მოხერხდა მხარეებს შორის შეთანხმების მიღწევა. დოდონის პოზიციის თანახმად, მოლდოვის „ფედერალიზაციის“ იდეა, სწორედ პლაჰოტნიუკისგან მოდიოდა, რაც მან მოსკოვს, მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეებზე გამოძიების შეწყვეტის სანაცვლოდ შესთავაზა. ამავსე ადასტურებს ოფიციალური კრემლის ნარატივიც, რომლის მიხედვით, დნესტრისპირეთის კონფლიქტის მოლდოვის ფედერალიზაციის გზით მოგვარების შეთავაზება, სწორედ პლაჰოტნიუკის ინიციატივას წარმოადგენდა. მიუხედავად „დემოკრატიული პარტიის“ მიერ განცხადებული პროდასავლური კურსისა, ბოლო წლებში, პარტიის ლიდერი, პლაჰოტნიუკი დასავლეთის ნდობით აღარ სარგებლობდა. კორუფციულმა სქემებმა და ქვეყნის არადემოკრატიული პრინციპებით მართვამ, ევროკავშირში მილიარდელის მიმართ კრიტიკა გაზარდა. ამასთან, პლაჰოტნიუკის ხელთ არსებული რესურსების მიუხედავად, მის პარტიას მოსახლეობის მხოლოდ 23% უჭერს მხარს.

პოლიტიკური კრიზისი და დასავლეთი-რუსეთის ინტერესების ფონზე სიტუაციის ესკალაციის საფრთხე ყოველკვირეულად მატულობს. ქვეყანა ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა ტურბულენტური ზონიდან, ამას მოწმობს მოლდოვას პარლამენტის გადაწყვეტილება, რომლითაც მან 12 ნოემბერს მათა სახელს მთავრობას უნდობლობის ვოტუმი გამოუცხადა (რადიო თავისუფლება, 12 ნოემბერი). მინისტრთა კაბინეტის გადასაყენებლად, 101 ხმიდან 51 ხმა იყო საკმარისი. შედეგად, აღნიშნულ გადაწყვეტილებას სოციალისტებისა და დემოკრატების 63-მა დეპუტატმა მისცა ხმა. საბოლოოდ, მოლდოვის პოლიტიკური რეალობა დადგა შემდეგი ფაქტის წინაშე, მოლდოვის პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა პრო-რუსულ სოციალისტურ პარტიასა და პრო-დასავლურ პოლიტიკურ ბლოკ ACUM-ს შორის შექმნილი კოალიციის შედეგად ჩამოყალიბებულ პრემიერ-მინისტრ სანდუს მთავრობას (პროდასავლელი), რის შემდეგაც სიტუაციური კოალიცია დაიშალა და ყოფილი მმართველი ძალის, დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერით, პრეზიდენტს იგორ დოდონის სოციალისტურმა პარტიამ ჩამოაყალიბა ე.წ. უმცირესობის მთავრობა, რომელიც სრულად დაკომპლექტდა მასთან დაახლოვებული პირებით და მისი პოზიციების უკიდურესად გაძლიერდა[2].

როგორც აღნიშნული ქეისის მიმოხილვამ ცხადყო, რეალურად მოლდოვაში ორი ურთიერთ რადიკალური პოლიტიკური მიმართულება ვითარდება: (1) მოლდოვას ევროპული ინტეგრაცია;

(2) რუსულ ორბიტაზე ტრიალი (Pagun, Ghiletchi, 2018). დღესდღეობით მმართველი პოლიტიკური ელიტის არჩევანი რუსული ორბიტაზე ყოფნა და მასთან მყარი ურთიერთობების შენარჩუნებაა. აღნიშნული დამოკიდებულება არ წარმოადგენს მხოლოდ მმართველი პოლიტიკური ელიტის გადაწყვეტილებას. მოსახლეობის ფრაგმენტაცია (გეითქიფერების ფრაგმენტაცია), პოლიტიკური ვექტრის დივერსიფიკაცია არის ის პოლიტიკური მოცემულება რაც დღეს მოლდოვაში ვითარდება.

გარდა ელიტების დამოკიდებულებისა, პოლიტიკური დამოკიდებულების განსაზღვრის კიდევ ერთი ელემენტია მოლდოვას სამხედრო კავშირები საგარეო აქტორთან. ევროკავშირთან მოდლოვას სამხედრო თანამშრომლობა იდეაშივე არარაციონალურია, ევროკავშირის, როგორც ორგანიზაციის არსიდან, თუმცა მოდლოვას არც ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებთან აქვს რაიმე სახის სამხედრო ხასიათის მჭიდრო ურთიერთობა (Devyatkov, 2017). რაც შეეხება რუსეთს, კრემლის ერთ-ერთ მთავარ ბერკეტს მოდლოვასთან მიმართებით სწორედ ხისტი ძალა წარმოადგენს. აღნიშნული ძალა, მოლდოვაში (დნესტრისპირეთში) რუსეთის სამხედრო წარმომადგენლობით მყარდება. ანალიტიკოსების აზრით, რუსეთი ცდილობს მოლდოვის საგარეო პოლიტიკაზე გავლენის შენარჩუნებას, ერთი მხრივ დნესტრისპირეთის გადაუჭრელი პრობლემით, ხოლო მეორე მხრივ რეგიონში ჯარების განთავსებით.

### **დაახლოება რუსეთთან: მოლდოვის პოლიტიკური ელიტა და საზოგადოების აზრი**

დღესდღეობით მოდლოვას პოლიტიკური ელიტა ძალიან ფრაგმენტულია. დემოკრატიული პარტია მკვეთრად არის დაპირისპირებული ACUM-თან, მიუხედავად იმისა რომ იდეაში ორივე პროდასავლურ ფრთას წარმოადგენენ მათ შორის კოალიციის ჩამოყალიბება ფაქტობრივად გამორიცხებულია. თავის მხრივ, დემოკრატიული პარტია ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში საჯარო დაპირისპირების მიუხედავად, ცალკეულ შემთხვევებში თანამშრომლობდა სოციალისტურ პარტიასთან, რამაც შექმნა წინაპირობა იგორ დოდონის მიერ მოლდოვის შიდა პოლიტიკურ სივრცეში მნიშვნელოვანი გარდატეხისთვის. კერძოდ, 2019 წლის ივნისის მოვლენების შემდეგ, დემოკრატიული პარტიის რეიტინგის მკვეთრად შემცირდა და შესაბამისად, პარტიას არ აწყობს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომლის პრევენციის ერთადერთ გზას წარმოადგენს სამთავრობო კრიზისის არდაშავება. აღნიშნული წარმატებით

გამოიყენა დოდონმა და დემოკრატიულ პარტიასთან შევიდა არაფორმალურ ალიანსში, რადგან ფორმალური კოალიცია არ აისახებოდა დადებითად დოდონისა და სოციალისტური პარტიის რეიტინგზე.

დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერის უზრუნველყოფის შემდეგ, დოდონმა გენერალური პროკურორის შერჩევის საკითხი გამოიყენა კოალიციის დაშლის ფორმალურ მიზეზად. დემოკრატების დახმარებით დაითხოვა სანდუს მთავრობა და დაამტკიცა უშუალოდ მასთან დაახლოვებული პირებით დაკომპლექტებული ახალი მინისტრთა კაბინეტი (Radio Free Europe, November 2019), რომელსაც უწოდებენ ე.წ. სპუტნიკის მთავრობას, რადგან მისი წევრების უმრავლესობა იყვნენ საინფორმაციო სააგენტოს „სპუტნიკი“ მოლდოვის რედაქციის ხშირი კომენტატორები/ავტორები.


ახალ მთავრობას ჯერჯერობით არ განუცხადებია მოლდოვის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების შესახებ და ფორმალურად იგი აგრძელებს ინერციით არსებულ პრო-დასავლურ პოლიტიკას, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში უკვე გამოიკვეთა საგარეო კურსის ცვლილების ნიშნები. მათ შორის, პრემიერ-მინისტრ იონ კიკუ ნოემბერში პირველი საგარეო ვიზიტით იმყოფებოდა რფ-ში, სადაც შეხვედრა გამართა რფ-ის მინისტრთა კაბინეტის ხელმძღვანელ დიმიტრი მედვედევთან. აღნიშნულის შემდეგ, რფ-მ განაცხადა მოლდოვისთვის ბუნებრივი აირის ფასის შემცირების, ასევე მოლდოვის ცალკეულ პროდუქციაზე შეზღუდვების მოხსნის შესახებ. აღნიშნულის პარალელურად, მოლდოვის მთავრობა სკეპტიკურ დამოკიდებულებას აფიქსირებს მსოფლიო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის შესახებ. ზემოაღნიშნული ფაქტორები წარმოადგენს მოლდოვის პრო-დასავლური კურსის ცვლილების ნიშნებს და არსებული ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, მოკლევადიან პერსპექტივაში მოლდოვამ შესაძლოა შეასუსტოს/უარი თქვა ევროკავშირთან ინტენსიურ ურთიერთობებზე და დაიწყოს რფ-სთან/მის მიერ ინიცირებულ ევრაზიულ ეკონომიკურ კავშირთან თანამშრომლობა (მოლდოვას უკვე აქვს დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსი).

აღნიშნული მოვლენების ფონზე ნათელი გახდა, რომ პრორუსული პოლიტიკური ელიტა არც თუ ნაკლები მხარდაჭერით სარგებლობს მოლდოვურ საზოგადოებაში. ასევე შკარაა, მმართველი ელიტის მოწადინება, მეტი პოლიტიკური კავშირები დაამყაროს რუსეთთან, რითაც შეუძლია ეთნიკურად არამოლოდველი, მოლდოვის მოქალაქეების გულის მოგება. მითუმეტეს რომ მოლდოვას არამოლოდველ უმცირესობებში რუსეთისადმი მხარდაჭერა 80% უტოლდება (Pagun,

Ghiletchi, 2018). როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად მოლდოვას სტრუქტურული სიახლოვისა ევროკავშირთან, ეროვნული კონსენსუსი ევროინტეგრაციისა და ევროსტრუქტურებში გაერთიანების მიზნად არ არსებობს. ამის დასტურია საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) გამოკითხვა, სადაც მოლდოვის მასშტაბით, მიუხედავად ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირებისა, საზოგადოების აღქმა განსხვავებულია. კითხვაზე რომელი ქვეყანა არის მთავარი ეკონომიკური პარტნიორი გამოკითხულთა ყველაზე დიდი ნაწილის 36% მიაჩნია, რომ რუსეთი მოლდოვას მთავარი ეკონომიკური პარტნიორია. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტნიორს, ამ შემთხვევაში მოლდოველების აზრით მოლდოვას მთავარი პარტნიორი რუსეთი და ევროკავშირია (28-28%-ით) (IRI, 2019, იხ. გრაფიკი 4). როგორც აღმოჩნდა, მიუხედავად მოლდოვას სტრუქტურული ობიექტური ფაქტორების სიახლოვისა ევროკავშირთან, მოსახლეობის აღქმები რუსეთის მიმართ გაცილებით გაზვიადებულია (ვიდრე ობიექტური ციფრები გვთავაზობს), ამას ემატება საზოგადოების უკიდურესი პოლარიზება, რომელიც საერთო ეროვნულ კონსენსუსამდე არ არის მისული (Pagun, Ghiletchi, 2018). შესაბამისად, ლევიცკისა და ვეის დაშვება, რომ სტრუქტურული სიახლოვე (ეკონომიკური კავშირები, გეოგრაფიული სიახლოვე და ა.შ) განსაზღვრავს ქვეყნის ინტეგრაციულ დონეს მოლდოვას შემთხვევაში რელევანტური არ არის. ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დასაწყისშივე არსებული დაშვება, რომ ქვეყნის ინტეგრაციის დონეს ევროკავშირთან, მხოლოდ ევროკავშირთან სიახლოვე არ განაპირობებს, და საყურადღებო და გასათვალისწინებელია მესამე აქტორის ჩართულობა, დადასტურდა.

გრაფიკი 4. რომელი ქვეყანა მიგაჩნიათ მოლდოვის მთავარ ეკონომიკურ, პოლიტიკურ პარტნიორად და მთავარ საფრთხედ?

### Which of these countries do you consider to be the most important economic partner, political partner and threat for Moldova?



### დასკვნა

მოლდოვას ქეისის შესწავლამ კიდევ ერთხელ ცხადყო ის სირთულეები, რაც ევროპეიზაციის პროცესში შესაძლოა ქვეყნის წინაშე არსებობდეს. პირველადი დასკვნები, თითქოს მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორები ან მხოლოდ პოლიტიკური ფაქტორები განაპირობებენ ქვეყნის ევროინტეგრაციას, კვლევის შედეგად არ დასასტურდა. სინამდვილეში, ქვეყნების დამოკიდებულება ევროკავშირზე არ არის აპრიორი წინაპირობა მისი ევროინტეგრაციის/დემოკრატიზაციის კურსის უწყობის. მოლდოვას მაგალითმა გვიჩვენა, რომ იგი 50% მეტი დოზით არის ეკონომიკურად დამოკიდებული ევროკავშირზე, თუმცა მოწყვნილობის დონე რუსეთის მიმართ უფრო მაღალი აქვს, რადგან რუსეთი არის ის ხელისშემშლელი აქტორი, რომელიც მოლდოვას თუნდაც საშუალოდ 20% დამოკიდებულებას თავისი პოლიტიკური ვაჭრობის იარაღად აქცევს. შესაბამისად, კვლევის დასაწყისში გაკეთებული დაშვება, ევროინტეგრაციის ხელისშემშლელი/ხელშემწყობი პროცესების გასაანალიზებლად, მოლდოვა-ევროკავშირის დამოკიდებულების გარდა, განგვეხილა მესამე აქტორის ჩართულობა, სურათს უფრო სრულყოფილს ხდის. ამავე დროს, კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ სანამ პოლიტიკური ელიტა ტურბულენტურ/გაურკვეველ პერიოდშია შესული, თითქმის გამორიცხულია მოლდოვას დემოკრატიული დაწინაურება. როგორც კვლევის შედეგად გამოჩნდა, მოლდოვას პოლიტიკურ დღის წესრიგს ძირითადად სამი ძალა ქმნის, მათგან ერთი ცალსახად პრორუსული ორიენტაციისაა, მაშინ როდესაც ყოფილი სამთავრობო ძალა (პლაჰოტნიუკის პარტია) თითქოს პროდასავლურ ორიენტაციას ატარებს, მაგრამ მისი მმართველობის სტილი, კორუფციული გარიგებები, სახელმწიფოს მიტაცების

მცდელობა შორს დგას/იდგა დასავლური სტანდარტებისგან. დასაწყისში გაჟღერებული „გეითქიფერ ელიტა“, როგორც ჩანს არამხოლოდ იდეურად, არამედ საგარეო ორიენტაციების მხრივაც ფრაგმენტაციულია, შესაბამისად მნელია ამგვარი ხელისშემშლელი ფაქტორებით კონკრეტული დემოკრატიული შედეგების მიღწევა, მითუმეტეს ევროინტეგრაციის დაჩქარება.

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტრუქტურალისტების მიდგომა, მხოლოდ ცალმხრივად განიხილონ ევროინტეგრაციის პროცესები, როგორც კავშირი ევროკავშირსა და სამიზნე ქვეყანას შორის, გადახედვას საჭიროებს. მოლდოვის მაგალითმა ცხადყო, რომ ევროკავშირზე მხოლოდ ეკონომიკური, გეოგრაფიული, სოციალური დამოკიდებულებით ევროინტეგრაციის სასურველი შედეგები ვერ მიიღწევა. მნიშვნელოვან როლს თამაშობს დამაბრკოლებელი აქტორების არსებობა, რომელიც ცდილობს შედარებით მცირე დამოკიდებულების ხარისხით, თუმცა მაინც გასათვალისწინებელი ბერკეტებით, ხელი შეუშალოს პროცესების ლოგიკურ დასასრულამდე მიყვანას.

### დამოკიდებულების ხარისხის გაზომვა<sup>[3]</sup>

ეკონომიკური ინდიკატორები	მოლდოვას დამოკიდებულების ხარისხი ევროკავშირთან	მოლდოვას დამოკიდებულების ხარისხი რუსეთთან
<p><b>1. ექსპორტი;</b></p> <p>განმარტება: ცვლადი აღნიშნავს ქვეყნის ექსპორტის გარე მოთამაშეზე დამოკიდებულების ხარისხს.</p> <p>მინიმუმი = 0; მაქსიმუმი = 2</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარე მოთამაშესთან ექსპორტი</li> </ul>	<p>2019 წლის მონაცემებით მოლდოვას საექსპორტო წილის 68 პროცენტი ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის.</p> <p>შესაბამისად, აღნიშნული კომპონენტი განისაზღვრება 2</p>	<p>2019 წლის მონაცემებით რუსეთს მიეკუთვნება 2 ქულა.</p>

<p>მთლიანი საექსპორტო მოცულობის 15%-ს აღემატება;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარე მოთამაშესთან ექსპორტი მთლიანი საექსპორტო მოცულობის 5%-დან 15%-მდე მერყეობს;</li> <li>• გარე მოთამაშესთან ექსპორტი მთლიანი საექსპორტო მოცულობის 5%-ზე ნაკლებია;</li> </ul>	<p>ქულით.</p>	
<p><b>2. იმპორტი;</b></p> <p>განმარტება: ცვლადი აღნიშნავს ქვეყნის იმპორტის გარე მოთამაშეზე დამოკიდებულების ხარისხს.</p> <p>მინიმუმი = 0; მაქსიმუმი = 2</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარე მოთამაშისგან იმპორტი მთლიანი იმპორტის მოცულობის 20%-ს აღემატება;</li> <li>• გარე მოთამაშისგან იმპორტი მთლიანი იმპორტის მოცულობის 10%-დან 20%-მდე მერყეობს;</li> <li>• გარე მოთამაშისგან იმპორტი მთლიანი იმპორტის მოცულობის 10%-ზე ნაკლებია;</li> </ul>	<p>ევროკავშირიდან იმპორტირებული საქონდლის წილი, მთლიანი იმპორტის წილის 49 პროცენტს შეადგენს.</p> <p>შესაბამიდან, იმპორტის კრიტერიუმშიც გარე მოთამაშისგან იმპორტის მოცულობა შეფასებულია 2 ქულით.</p>	<p>რუსეთზე იმპორტის 20 % მოდის შესაბამისან აქ აღნიშნება 1 ქულით.</p>

<p><b>3. ფულადი გზავნილები;</b></p> <p>განმარტება: ცვლადი აღნიშნავს ქვეყნის ფულადი გზავნილების გარე მოთამაშეზე დამოკიდებულების ხარისხს.</p> <p>მინიმუმი = 0; მაქსიმუმი = 2</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• ფულადი გზავნილები ქვეყნის მშპ-ს 4%-ზე მეტს შეადგენს;</li> <li>• ფულადი გზავნილები ქვეყნის მშპ-ს 2%-დან 4%-მდე მერყეობს;</li> <li>• ფულადი გზავნილები ქვეყნის მშპ-ს 2%-ზე ნაკლებია;</li> </ul>	<p>ევროკავშირიდან ფულადი გზავნილები 40% უდრის. რაც მოლდოვის ქვეყნის მშპს 4% მეტს შეადგენს. შესაბამიდან ამ მხრივ ცვლადის ქულა 1 უდრის.</p>	<p>რუსეთიდან ფულადი გზავნილების 25 % მოდის, რაც 4 მშპ 4 პროცენტზე დავალია 0 ქულა.</p>
<p><b>4. პირდაპირი უცხოური ინვესტიცია;</b></p> <p>განმარტება: ცვლადი აღნიშნავს გარეშე მოთამაშის პირდაპირ უცხოურ ინვესტიციაზე ქვეყნის დამოკიდებულებას</p> <p>მინიმუმი = 0; მაქსიმუმი = 2</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მთლიანი უცხოური ინვესტიციის 20%-ს შეადგენს;</li> <li>• პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მთლიანი</li> </ul>	<p>2018 წლის მონაცემებით მთლიანი უცხოური ინვესტიციების 45 პროცენტი სწორედ ევროკავშირიდან მოდის. შესაბამიდან კომპონენტი შეფასებულია 2 ქულით.</p>	<p>2018 წლის მონაცემებით მთლიანი უცხოური ინვესტიციების 6%. 0 ქულა.</p>

<p>უცხოური ინვეტიციის 10%-დან 20%-მდე მერყეობს;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>პირდაპირი უცხოური ინვესტიცია მთლიანი უცხოური ინვეტიციის 10%-ზე ნაკლებია;</li> </ul>		
--	--	--

<p>მოლდოვას კრიტერიუმები და ინდიკატორები პოლიტიკური და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დამოკიდებულების გასაზომად ევროკავშირთან მიმართებით/რუსეთთან მიმართებით</p>		
<p><b>5. პოლიტიკური ინტეგრაცია</b></p> <p>მინიმუმი = 0; მაქსიმუმი = 2</p> <ul style="list-style-type: none"> <li>ცხადად გამოხატული სურვილი შეუერთდეს გარე მოთამაშის მიერ დომინირებულ ერთზე მეტ ორგანიზაციას;</li> <li>ცხადად გამოხატული სურვილი შეუერთდეს გარე მოთამაშის მიერ დომინირებულ ყველაზე ცოტა ერთ ორგანიზაციას;</li> <li>გარე მოთამაშის მიერ დომინირებულ ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილის არარსებობა;</li> </ul>	<p>აღნიშნულ კომპონენტში მოლდოვას სურვილი გახდეს ევროკავშირის წევრი შეიძლება არ მივიჩნიოთ ცხადად გამოხატულ სურვილად. შეფასებულია 1 ქულით.</p>	<p>ევრაზიულ კავშირში ინტეგრაცია მოსახლეობის 30% სურს. შესაბამისად აქ რუსეთსაც 1 ქულა დაეწერება.</p>

<p><b>6. მმართველი ელიტის იდეოლოგიური სახელოვე</b></p> <p><b>მინიმუმი = 0; მაქსიმუმი = 2</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• მმართველი ელიტა [ფორმალურად ან რეალურად] ერთგულია გარე მოთამაშის ღირებულებებთან მიახლოებული ღირებულებების და ამ მოთამაშესთან მჭიდრო ინტეგრაციაზე ფოკუსირებულ საგარეო პოლიტიკას ატარებს;</li> <li>• მმართველი ელიტა ერთგულია გარე მოთამაშის ღირებულებებთან მიახლოებული ღირებულებების, მაგრამ მისი საგარეო პოლიტიკა არ არის ამ მოთამაშესთან ინტეგრაციაზე ორიენტირებული;</li> <li>• მმართველი ელიტა არ არის ღირებულებების ერთგული და არ ეწევა გარე მოთამაშესთან ინტეგრაციაზე ორიენტირებულ პოლიტიკას;</li> </ul>	<p>აღნიშნული კომპონენტი შეიძლება შეფასდეს 1 ქულით.</p>	<p>ამ შემთხვევაში რუსეთთან მიმართებით 2 ქულა დაიწერება (დოდონის მმართველობა და პროდასავლური მერყევი ელიტა)</p>

<p><b>7. სამოქალაქო-სამხედრო კავშირები;</b></p> <p>მინიმუმი = 0; მაქსიმუმი = 2</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• გარე მოთამაშეს ყავს [მეგობრულად განწყობილი]სამხედრო-სამოქალაქო წარმომადგენლობა მოლდოვაში, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის უსაფრთხოებას;</li> <li>• გარე მოთამაშეს ყავს [მეგობრულად განწყობილი] სამოქალაქო-სამხედრო წარმომადგენლობა, რომელიც მოლდოვას უსაფრთხოებისთვის უმნიშვნელოა;</li> <li>• გარე მოთამაშეს არ ყავს [მეგობრულად განწყობილი] სამოქალაქო-სამხედრო წარმომადგენლობა მოლდოვაში;</li> </ul>	<p>აღნიშნული კომპონენტის შეფასებულია 0 ქულით.</p>	<p>აღნიშნული კომპონენტის შეფასებულია 2 ქულით.</p>
---	---	---





(დამოკიდებულების ინდიკატორების გრაფიკულ გამოსახულება)

### ბიბლიოგრაფია:

Moldova State News Agency (2018). Retrieved

from: <https://www.moldpres.md/news/2019/03/30/19002533>

Annual survey Report: Moldova, [https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2018-07/EU%20NEIGHBOURS%20east\\_AnnualSurvey2018report\\_MOLDOVA.pdf](https://www.euneighbours.eu/sites/default/files/publications/2018-07/EU%20NEIGHBOURS%20east_AnnualSurvey2018report_MOLDOVA.pdf).

Coppedge, M., Gerring, J., Lindberg, S., Skaaning, S-E, Teorell, J. (2017). V-Dem Comparisons and Contrasts with Other Measurement Projects. V-Dem Working Papers series 2017:45

Del Medico, N. (2014). A Black Knight in the Eastern Neighbourhood? Russia and EU Democracy Promotion in Armenia and Moldova, EU Diplomacy Paper 7, College of Europe, p. 1-42

Devyatkov, Andrey (2017). Dynamics of Russian Power in Moldova, Foreign policy research Institute. p.-5

European Commission, 2019. Commissioner Hahn visits Chisinau, the Republic of Moldova, to reiterate the EU's support to the new government. Retrieved from: [https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/news\\_corner/news/commissioner-hahn-visits-chisinau-republic-moldova-reiterate-eus-support-new\\_en](https://ec.europa.eu/neighbourhood-enlargement/news_corner/news/commissioner-hahn-visits-chisinau-republic-moldova-reiterate-eus-support-new_en)

IRI (2019). Public Opinion Survey: Residents of

Moldova, [https://www.iri.org/sites/default/files/iri\\_moldova\\_may-june\\_2019\\_poll\\_final.pdf](https://www.iri.org/sites/default/files/iri_moldova_may-june_2019_poll_final.pdf)

Jonavicius, L., (2009). WHY UKRAINE AND GEORGIA HAVE NOT USED THE “WINDOW OF OPPORTUNITY”? NEO-INSTITUTIONAL ANALYSIS OF TRANSFORMATIONAL STAGNATION IN GEORGIA AND UKRAINE Laurynas, Vilnius University, Institute of International Relations and Political Science (TSPMI) , UNISCI Discussion Papers, № 19

Lebanidze, Bidzina (2019). Russia, EU and the post-Soviet democratic failure. Springer.

Levitsky, S., and Way, Lucan A. (2006). ‘Linkage Versus Leverage: Rethinking the International Dimension of Regime Change’. *Comparative Politics* 38, no. 4, 379–400 379p

Linz and Stepan, (1996). *Problems of Democratic Transition*, 66. Though they use the term state elites. *Journal of Democracy* 7.2, 14-33

Moore, B. (1966). *Social Origins of Dictatorship and Democracy*. Beacon Press, preface and chapter 7, p. 413-433.

Munck, G. and J. Verkuilen. (2002). *Conceptualizing and Measuring Democracy. Evaluating Alternative Indices*. *Comparative Political Studies*, vol. 35(1): p.5-34

National bureau of Statistics of Moldova (ქსპორტი, 2019).

[https://statbank.statistica.md/pxweb/pxweb/en/40%20Statistica%20economica/40%20Statistica%20economica\\_\\_21%20EXT\\_\\_EXT010\\_\\_serii%20anuale/EXT010100.px/table/tableViewLayout1/?rxid=b2ff27d7-0b96-43c9-934b-42e1a2a9a774](https://statbank.statistica.md/pxweb/pxweb/en/40%20Statistica%20economica/40%20Statistica%20economica__21%20EXT__EXT010__serii%20anuale/EXT010100.px/table/tableViewLayout1/?rxid=b2ff27d7-0b96-43c9-934b-42e1a2a9a774)

National bureau of Statistics of Moldova (ომპორტი, 2019).

ხელმისაწვდომია: [https://statbank.statistica.md/pxweb/pxweb/en/40%20Statistica%20economica/40%20Statistica%20economica\\_\\_21%20EXT\\_\\_EXT010\\_\\_serii%20anuale/EXT010100.px/table/tableViewLayout1/?rxid=b2ff27d7-0b96-43c9-934b-42e1a2a9a774](https://statbank.statistica.md/pxweb/pxweb/en/40%20Statistica%20economica/40%20Statistica%20economica__21%20EXT__EXT010__serii%20anuale/EXT010100.px/table/tableViewLayout1/?rxid=b2ff27d7-0b96-43c9-934b-42e1a2a9a774)

Pavlinek, P., (2003). Alternative Approaches to Post-Communist Transformations in Central and Eastern Euro.

Pagung, S., Ghiletschi, S., (2018). Moldova's Europeanization and interethnic cohesion a delicate balancing act, Policy paper.p11-12.

Radio Free Europe, (June, 2019). Moldovan Parliament Approves New Government Over Constitutional Court's Objections.

Radio Free Europe, November 2019, Moldova's Dodon Names Adviser Chicu As Prime Minister <https://www.rferl.org/a/moldovan-president-favors-technocrat-government-after-pm-toppled/30269487.html>

Radio Free Europe, November (2019). Moldovan Government Collapses; EU Calls Development 'Worrying'

Reuters, (June,8, 2019). Moldovan parties agree to form government after months of deadlock. Retrieved from: <https://www.reuters.com/article/us-moldova-politics/moldovan-parties-agree-to-form-government-after-months-of-deadlock-idUSKCN1T90MT>

Starr, H. (1991). Democratic Dominoes: Diffusion Approaches to the Spread of Democracy in the International System. The Journal of Conflict Resolution, vol. 35(2): p. 356-381.

Tolstrup, J., (2012). When can external actors influence democratization? Leverage, linkages, and gatekeeper elites, Democratization, Department of Political Science and Government, Aarhus University.

ლებანიძე, ბ., და გრიგალაშვილი, მ., (2018). ინტეგრაციის რეგიონული სირთულეები: საქართველო ურთიერთგადაჯაჭვული გავლენების ბადეში, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

მოლდოვას ეროვნული ბანკი, (2019). Retrieved from: <https://www.bnm.md/en/content/graphical-analysis-money-transfers-abroad-favour-individuals-february-2019>

[1]ელ ფოსტა: [grigalashvilimariam@gmail.com](mailto:grigalashvilimariam@gmail.com)

[2] კოალიციაში უთანხმოების ფორმალური მიზეზი გახდა ქვეყნის გენერალური პროკურორის არჩევის საკითხი. კერძოდ, აღნიშნულ თანამდებობას ორივე მხარე ანიჭებდა კრიტიკულ მნიშვნელობას და შესაბამისად, თითოეულ მათგანს სურდა საკუთარი ნდობით აღჭურვილი პირის ან როგორც მინიმუმ, დამოუკიდებელი - მეორე მხარესთან შეხების არმქონე კანდიდატის შერჩევა. სოციალისტებმა დაბლოკეს სანდუს სასურველი კანდიდატები, თუმცა პრემიერ-მინისტრი შეეცადა გენერალური პროკურორის შერჩევის წესის შეცვლა, რაც დოდონმა დაუშვებლად მიიჩნია და ყოფილი მმართველი ძალის - დემოკრატიული პარტიისა და სოციალისტების ერთობლივი ძალისხმევით პარლამენტმა უნდობლობა გამოუცხადა სანდუს მთავრობას.

[3] გაზომვის მეთოდოლოგია აღებულია ბიძინა ლევანიძისა და მარიამ გრიგალაშვილის ნაშრომიდან “ინტეგრაციის რეგიონული სირთულეები: საქართველო ურთიერთგადაჯაჭვული გავლენების ბადეში”, 2018 წელი.

## ს ა რ ზ ე ვ ი

1. ნატა გარაყანიძე  
გაზი და პატარა სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკა: სამხრეთ კავკასიის რეგიონი-----3
  
2. ნათია კვეენაძე  
მოქალაქეთა ჩართულობა ქ. თბილისის ურბანულ დაგეგმარებაში - სამოქალაქო  
მრჩეველთა საბჭოს პრაქტიკის ანალიზი: 2016-2018 წლები-----26
  
3. Eva Modebadze  
Discourse Analysis of Diplomatic Correspondence Between Kennedy and Khrushchev during the  
Cuban Missile Crisis: Identifying Dominant Narratives and Discourses Influencing Diplomatic  
Negotiations-----61
  
4. მარიამ გრიგალაშვილი  
მოლდოვას ევროინტეგრაციის ხარისხი: რა განსაზღვრავს ქვეყნის ევროინტეგრაციის  
დონეს?-----83